თებერვალი
1931 წ.
№ 62

საქართველოს დამოუკიდებელი ქართველი

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
FEVRIER
1931—№ 62

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე რ ს

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართველოს დაპყრობის და დამონების; წელნი მეტათ მწარე, მეტათ სისხლიანი, ტანჯვით და ცრემლით სავსენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდოთა შემოსევა, განუცდია უცხო ძალთა რბევა და ძალმომრეობა.

მაგრამ მას არასოდეს არ უნახავს, არასოდეს არ განუცდია ის ტანჯვა-ვაება, ის სასტიკი უბედობა, რაიცა მას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.

წინეთ დამპყრობელთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ გამოიღვიძებდა, მისი მზე ამოანათებდა და თავისუფლების ყვავილები გაიშლებოდა.

დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი მუდმივათ დაგუბდა ჩვენს ქვეყანაში, ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სიმდიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე, ყოველ საათში ცელავს საუკეთესო შვილებს, ერს კვეთს საუკეთესო თავებს, აძევებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე და შეიარაღებული ეწევა მუდმივ, შეუჩერებელ ომს უიარაღო მცხოვრებთა წინააღმდეგ.

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს მოსასპობათ, ქართველობის დასამორჩილებლათ, ქართველი ერის მუხლზე დაცემულ საწყალთა ბრბოთ გადასაქცევათ.

მოსკოვის ტირანები ათი წელია ძღებიან ქართველი ერის სისხლით და ვერ გაძღენ, იტაცებენ მის სარჩო-საბადებელს და ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხეებს, სარდაფებს, ბნელ საკანებს, შორეულ გადაკარგულ კუთხეებს და ვერ გაავსეს.

დიდია ქართველი ხალხის ეს მძიმე ტანჯვა, განუზომელია ეს ამოდენა მისი წვალება, მწარეა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, მას წაართვეს თავისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეათე წელსაც ისე მაგრათ დგას თავის უფლების, თავის სამშობლოს სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიწადს. დროთა ბრუნვამ ის ვერ მოსტეხა, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მოყვარე მტერათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალახილული, გონება ნათელი, მტერთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაჟებს, თავსდასხმა ავაჟკაცებს.

მტრის ბანაკი გარიყულია, ის უკმაყოფილო ერით შემოქალტულია; მათ შორის ყველა შემაერთებელი ძაფები დაწყვეტილია და მხოლოდ მტრობა მათი მოციქულია.

განა ეჭვია ვინ გაიმარჯვებს! ისტორიის ჩარხს უკუღმა ვინ დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის მიერ განწირულია.

დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ გვიან—ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მთავარია ის, რომ მტერის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. რა არის ათი წელი ხალხთა ცხოვრებაში? ის ერთი წამია, ერთი შეფრქვევაა. ქართველი ერი სწორეთ ასე შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევებს, ასალკლდევებს ეს ათი წელიწადია.

და გამართლდა მისი ეს შორსმჭვრეტელობა, ახლა აშკარა გახდა ბრმათათვისაც ეს მისი რწმენა.

გავიდა ათი წელი და რას ვხედავთ? ვხედავთ მტერს დასნეულებულს, უკურნებელი იარებით დაავადებულს, გახრწნილს, თავის შინაგან წინააღმდეგობათა ბადეში გახლართულს და სასიკვდილოთ გამზადებულს.

ვხედავთ მის მოსაფლავეთ, დევნილ და წამებულ ხალხებს, გამხნევებულთ, იმედით აღსავსეთ, უკანასკნელი ბრძოლისათვის გამზადებულთ. ჩვენ მარტონი აღარა ვართ, ჩვენ გვემატება ახალი მოკავშირენი; ისინი კი, პირიქით, მარტოვდებიან, კარგავენ ძალას, შორდებიან მთელ ქვეყანას და უფსკრულისაკენ მიექანებიან.

მოსკოველთა დღე დათვლილია, მათი მზე ჩადის, ჩვენი მზე ამოდის. განთიადი მოახლოვებულია.

საქართველოს კანონიერი მთავრობა, უცხოეთში გადმოხვეწილი და აქ ერის დაკარგული უფლებისათვის მებრძოლი, ამ ათი წლის თავზე შორიდან უძღვნის სალამს მთელ ქართველობას და მას უთვლის: ჩვენ აქ ძველებურათ მაგრათ ვდგევართ ქვეყნის სადარაჯოზე, ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთათ, თქვენი სული გვაძლევს აღფრთოვანებას. მომავალ დიად გადატეხას შევხვდეთ მთლიანათ, საერთო ნებისყოფით, საერთო სულისკვეთებით და სხვა ჩვენებრ დატანჯულ ხალხებთან ერთათ აღვმართოთ ჩვენი დროშა, დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებთან ძმური დამოკიდებულების და კეთილი მეზობლობის დამყარების.

მოწინავე კაცობრიობა თქვენ თავდადებულ ბრძოლას შეყურებს!

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

პარიზი

თებერვალი 1931

საღღეისო ამოცანა

მთავარ სარდალმა ჰინდენბურგმა სთქვა, ომის დროს, გაიმარჯვებს ის, ვისაც უფრო მაგარი ძარღვები აქვსო. გერმანიას სწორეთ უღალატა ძარღვებმა, ჩვენ კი, ჩვენ არ უნდა გვიღალატოს!

ცოტა გაბედული შედარებაა—იტყვის მკითხველი, შეიძლება, მაგრამ სხვა უფრო დიდი ამოცანა ჩვენთვის არ არსებობს დღეს. ეს უნდა დავიმახსოვროთ ჩვენ, ქართველებმა, შინ თუ გარეთ, კარგათ ჩავიდოთ თავში, რომ მტერმა ვერ შესძლოს ჩვენი გამოწვევა უდროო და უთანასწორო ბრძოლაში.

მთავრობის თავმჯდომარე ამბობს, და კარგათაც ამბობს, თავის მოწოდებაში, რომ მტერი «სასიკვდილოთ გამზადებულა»-ო. მეორეს მხრით, ქვევით წაიკითხავთ წერილებს საქართველოდან, სადაც საშინელი სურათია დახატული ჩვენი ერის ტანჯვა-წამებისა. ამ ორ მოვლენას, მზგავსათ ტალ-კვესისა, შეუძლია გააჩინოს ცეცხლი, იფეთქოს. მართლაც, როცა მტერი უკანასკნელ ყოფაშია და შენც ასე გაწამებული, ძნელია თავი შეიკავო, არ დაეტაკო, არ მიაკვდე.

თავის შეკვლა—აი რაა ჩვენთვის ყველაზე უფრო აღკრძალული, მიუტევებელი. ბევრი ერი, დიდი ერებიც, აღიგვა ამა სოფლიდან დროთა ქარტეხილში. რამ გადაარჩინა ქართველი ერი? არა მარტო სიმამაცემ, უეჭველია, არამედ გამჭრიახობამ, ხერხმა... მაგარმა ძარღვებმა, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ.

ჩვენს გმირ ერს ვერ გამოიყვანს წონათსწორობიდან ის გაუგონარი ამბავიც, რომ «საქართველოს საბჭოთა მთავრობა» დღესასწაულობს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დამხობის ათი წლის თავს, რომ მან შეურჩია ამისათვის 25 თებერვალი, დღე ჩვენი დედა-ქალაქის აღებისა მტრის მიერ! წაიკითხეთ, რას ამბობს არამზადა ფილიპე მახარაძე «იზვესტიაში»: «25 თებერვალს აჯანყებულმა ქართველმა გლეხებმა და მუშებმა აიღეს თფილისი და გაანთავისუფლეს საქართველო მენშევიკებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან»-ო. თავრეტიანმა მოსკოვის აგენტმა თავისი საიდუმლო მემორანდუმიც კი დაივიწყა, სადაც სწერდა, რომ წითელი ჯარის შემოსევის დროს საქართველოში სრული მშვიდობა სუფევდა და ჩვენ, სრულიად მოუმზადებელნი, სახტათ დავრჩითო.

დიახ, ძირამდე უნდა შევსვათ სიმწარის ფიალა! მტერი არ სჯერდება ხვრეტას, აწიოკებას, ინკვიზიციას, სალოვკას, ძარცვა-გლეჯას, დამშევას... ის დაგვცინის კიდეც! ერთი ახალი ლტოლვილი გადმოგვცემს: ხალხი ძლივს იკავებს თავს, ვაი მტერს, კიდევ უფრო ქართველ მოღალატეთ, თუ დაჰკრა განსჯის ჟამმა,—თავის კბილებით, არა იარაღით, კბილებით დაგლეჯს მათო.

თავის შეკავება ამ დროს—აი ნამდვილი გმირობა! გვესმის თუ არა კბილების ეს ღრჭენა, შურისძიების ეს ვნებათა ღელვა?! ვისაც არ გესმით, ნუ იტყვით, რომ ქართველის ქუდი გხურავთ! რა პასუხი, ერთად ერთი პასუხი ჩვენი ერის ასეთ სულისკვეთებაზე? დავიწყება ყველაფრის, რაიცა გვყოფს; გახსენება ყველაფრის, რაიცა გვაერთებს. ერთი აზრი, ერთი ნებისყოფა, ერთათ დარაზმვა, ერთათ... დაკვრა.

დრო არ იცდის, გვახსოვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები საქართველოდან

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.

ყველა კულტურულ, თავისუფალ სახელმწიფოს ახასიათებს თავისუფალი, აულაგმავი პრესა, რომელიც აღსახავს პოლიტიკურ ეკონომიურ მდგომარეობას—მთელს სახელმწიფოში. პრესის საშუალებით ყოველმა მოქალაქემ იცის, თუ რა ხდება, არამც თუ მის საკუთარ სახელმწიფოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამ შემთხვევაში მხოლოდ მოსკოვის იმპერია შეადგენს ერთად ერთ გამონაკლისს. აქ პრესა არ არსებობს, არის მხოლოდ რამოდენიმე ოფიციალური გაზეთი, სადაც მტკიცედ არის გატარებული ხელისუფლების გარეგანი პოლიტიკური ფორმა, ხოლო მისი საიდუმლოება ცეკის გარეთ ვერ გასცდება. დაფარული იქნეს სინამდვილე, რათა მოქალაქემ არ იცოდეს, რა ხდება არამც თუ მთელ სახელმწიფოში, ახლო მაზრაშიაც კი. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეებს, დაშორებულებს თავის სამშობლოს ნებსით, თუ უნებლიეთ, წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა საშინელ სურათს წარმოადგენს დღევანდელი საბჭოთა საქართველო, ვითომდა სოციალისტური. აი მოკლე და უტყუარი სურათი, სინამდვილის ცოცხალი სარკე:

1. საქართველოს დღესაც ისე, როგორც 1924 წ. გადაფარებული აქვს მკვდრის სუდარა. ენაზე ყოველ მოქალაქეს კლიტე ადევს. და ამ კლიტეზე არის მიკრული ჩეკის ბეჭედი. რომ ჩეკამ თავისი არსებობა გაამართლოს, პერიოდულად თავის სამარცხვინო აგენტებს საშუალებით თხზავს დანაშაულს, პროვოკაციებს მავნებლობაზე, თავიანთ უტაქტო და გაუმართლებელ გეგმების ჩაფუშვის გამო, და ამ მიზნით ხვრეტენ კიდეც სახელმწიფოსათვის გამოსადეგ მოქალაქეებს ბრალდების წაუყენებლადაც კი (მაგ.: მოვიგონოთ ამ ახლოხანში დახვრეტილები თუმანიშვილი მიშა, დანელია კოკი და სხვა მრავალნი).

2. დახვრეტაზე უსაშინელეს სურათს წარმოადგენს სალოვკაში და უშორეს ცივ ციმბირში საუკეთესო პოლიტიკურ მუშა გლეხების და მოწინავე ინტელიგენციის გადასახლება, საიდანაც ამ ათი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი თუ დაბრუნდა. ეს გადასახლებები ღებულობს კატასტროფულ ხასიათს. მეტადრე ამ სამი ოთხი წლის წინედ, თუ გადასახლებულებს 3-4 დღის წინ მაინც გამოუცხადებდენ თავის სასჯელს, და მშობლებს და ნათესავებს მაინც შეეძლოთ ორიოდე გროში მიეწოდებიათ, ეხლა მოუთმენლად გამოყავთ ღამე ციხეებიდან უპატრონო, სრულიად უმწეო გლეხები და მუშები ფეხშიშვლები, ტანთ შეუმოსავი და გზავნიან ცივ ქვეყნებისაკენ ეშელონებით. მშობლები და ოჯახის წევრები ძალიან დიდი ხნის ძიების შემდეგ თუ გაიგებენ, რომ მათი პატიმარი გაუგზავნიათ. ასეთი გადასახლება თვეში ერთხელ მაინც ხდება, 200-3000 კაცისაგან შემდგარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დახვრეტა ასეთ ინკვიზიციასთან შედარებით განთავისუფლებაა. განადგურდა ამ ფაქტებით მეტადრე გურია, კახეთი და სამეგრელოს გლეხობა, რადგან ამ კუთხეებში ინკვიზიტორებთან ბრძოლაში უფრო თვალსაჩინო აქტივობა ამ კუთხის გლეხობამ გამოიჩინა. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის უფრო თვალსაჩინო ამოძრავება (იგულისხმება კახეთი და ქართლი) დაიწყო მისი ცარცვა-გლეჯის შემდეგ, კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით. კოლექტივების და «კომუნების» დაარსება ხომ ჩეკისტთა ბრიგადების საშუალებით მოინდომეს მოსკოვის უზურპატორებმა. ის, რაც არსებობს, ხომ ყველას კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა მეთოდებით არის შექმნილი. მას რუსის ხიშტები თუ ამაგრებს. ამ გარემოებიდან გამოსული გლეხობა მიხვდა, რომ მისი ნაშრომის მოტაცებაზე აქვს თვალი ხელისუფლებას და შეგნებულადვე შეუდგა თავის ოფლით შექმნილი მეურნეობის თავის ხელითვე განადგურებას. ამ მიზნით სოფლად კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით მოისპო მსხვილფეხა საქონელი. განადგურდა, წვრილფეხა პირუტყვი, განადგურდა ყოველგვარი მონაგარი. სასოფლო მეურნეობის სწრაფი ექსტენსიურობაა გამეფებული. მაგ.: ეხლა სოფლად ძალით ჩეკისტთა მუქარით ათესვინებენ გლეხებს ბამბას, თამბაქოს, ჩაის, პურს, სიმინდს და სხვას, რომ ბრძანებლებს ერთბაშად თავიანთ მუქთახორებისათვის ნედლი მასალა არ გამოელიოს. დღეს ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის ყოველ სახეს ძალადობითი ხასიათი აქვს. გურიაში დატუსაღებით და მოქალაქეობრივი უფლებების აყრით დაემუქრენ მეაბრეშუმე გლეხის ქალებს, თუ ისინი აბრეშუმს არ დაისვამდენ. გლეხობას ერთსულოვნად სურდა საბოტაჟი გამოეცხადებია აბრეშუმის მოყვანის და არც ერთი მისხალი არც ერთ გლეხს არ დაესვა, რადგან გლეხობამ იცოდა, რომ მის ნამუშევარს სულერთია ტყვილად, ე. ი. უფასოდ მიითვისებდენ საბჭოთა ეკონომისტები (ფუთი პარკი 25 მან. როცა ერთი წუდა ბაზარზე 40-50 მან. ფასობს). ზემოხსენებულ მოვლენის წინააღმდეგობისათვის არა ერთი გლეხი და გლეხის ქალი გადაასახლეს ცივ ქვეყნებში. სტალინის დერჟავნიკული პოლიტიკა ისევ ისე გრძელდება. ის გარს იკრებს ერთგულ კარის კაცებს. ცენტრში დიდი განგაშია მემარჯვნე ოპოზიციის გარშემო. რიკოვი შვებულებაში გაუშვეს, ვითომ ისე, როგორც პირველად ტროცკი. ყაყანი მიმართულია რიკოვის, ტომსკის, ბუხარინის, სლეპკოვის, რიუტინის და სხვათა წინააღმდეგ. დიდი ამბებია ამის შესახებ ყველა კუთხეებში და სიბრძნე სიცრუის ფურცლებზე მოსკოვის იმპერიაში.

3. საშინელ მდგომარეობას განიცდის «ჩერვონეცი». ჩერვონეცმა დაკარგა ყოველივე ღირებულება და თავისი ხასიათით გაუთანაბრდა 1922 წლის ბონებს. გლეხი, რომელსაც კარგად ახსოვს «ბონობია», მას აღარ ენდობა—და არ იძლევა არავითარ სანოვაგეს, თუ ასეთი რამე მას გააჩნია. რადგან ჩერვონეცი მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აძლევს საშუალებას ერთი მეტრი ჩითი იყიდოს არსებული ფულის ნიშნის საშუალებით, ამიტომ ჩერვონეცი მისთვის უმნიშვნელოდ ხდება. ვერცხლი ბრუნვიდან სულ მთლად გაქრა. ის ჩეკის საშუალებითაც ვეღარ იქმნა აღმოჩენილი. მთავრობა ყოველი ხერხით ცდილობს ჩერვონეცის კურსის მკვდრეთით აღდგენას, ამ მიზნით ახალი ემისია აღარ გამოდის ბრუნვის სფეროში. და ამ ფაქტმა საშინელი ფულის სიმშილი გამოიწვია. ამას მოჰყვა შედეგად სანოვაგის არამც თუ გაიაფება, პირიქით ყველა პირველმოთხოვნილების საგნების საშინელი გაძვირება. ჩვენი მოქალაქეები ველურ ადამიანს ემსგავსებიან თანდათანობით. არც ფეხსაცმელია, არც ტანსაცმელი, არც საცვალი, საპონიც კი მოისპო აგერ 6 თვეზე მეტია. ერთი ნაჭერი საპონი სადმე არალეგალურად რომ იშოვო, 5-6 მანეთად ფასობს. ასეთივე კრიზისია ტყავის პროდუქტების, ცხიმოვანი პროდუქტების, ხორცის, ცხოველების, ქსოვილების, როგორც შეკერილი ისე შეუკერავის, ხეტყის, მედიკამენტების აფთიაქებში. თამბაქო, მატყლი, ბამბა და წარმოიდგინეთ ფასფორიც კი და საგნები (თეფში, ჭიქა და სხვა ამგვარი), რომელიც ამ სამი ოთხი თვის წინეთ ცოტაოდნათ სხვასთან შედარებით იშოვებოდა, დღეს სულ მთლად მოისპო და სანატრელი გახდა საბჭოთა მოქალაქისთვის.

4. აუტანელია და საშინელი მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა: ორი-სამი თვეა ხელფასს არ იძლევიან. მუშებს აძლევენ ავანსად სექტემბრის ჯამაგირის 10 პროცენტს, ისიც ყველა წარმოებაში არა. ერთი მხრით აღარ არის პირველ მოთხოვნილების საგნები, მეორეს მხრივ აღარ არის ფული. მდგომარეობა უსაშინელესია. მაგრამ უბრალო საყვედური რომ ვინმემ გაბედოს სამსახურში, ჩეკის აგენტები, მას წესს აუგებენ. თვით ჩეკისტთა ხროვა ბაზრის კანონებს არ ექვემდებარება. მათთვის ყველაფერი არსებობს, როგორც სასმელ-საჭმელი ისე ტანისამოსიც. ასეთი პრივილეგიები არსებობს პასუხისმგებელ ბიუროკრატებისთვისაც. ხოლო არა ყველა წვრილფეხა ბოლშევიკისთვის. მათთვის მომარაგებას აწარმოებს წარმო კავშირი. ერთი სიტყვით ანტიური ხანის მონობა ღმერთმა შეარცხვინოს ამ სისტემასთან. მოწინავე ბოლშევიკ «პასუხისმგებელი» ბიუროკრატები გაბატონებულ კასტად გადაიქცენ. ფეოდალების თავაშვებული მოქმედება არაფერი შესადარებელია ამ ვაებატონებთან, რომელთაც არ გააჩნიათ არც სინდისი, არც ცოდნა და არც ადამიანობა.

5. კერძო ვაჭრობა ოფიციალურად მოისპო თითქმის მთელი ასი პროცენტით. მისი ადგილი დაიკავა კოოპერატივებმა. დილიდან საღამომდე წიგნაკებით ხელში სდგას უამრავი რიცხვი მოქალაქეებისა მაღაზიებთან რიგში სანოვაგის და 5-6 თვეში ერთხელ ერთი ჩითის ხალათის ან ერთი ცხვირსახოცის, ან კიდევ ერთი ბამბის ჩულქის მისაღებათ. მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ—ცარიელი კოოპერატივებიდან რა უნდა მიიღო. ხან გამოშვებით კოოპერატივთა ვიტრინებში გამოჩნდება 2-3 შეკერილი, პალტო, ან ხალათი ან კიდევ ქალის ტანსაცმელი, ჩულქი, აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც დაურიგდება პარტიულ აზნაურებს და მყისვე ქრება. ან კიდევ შენ მოქალაქემ რომ მოითხოვო, ვინ მოგაშავებს. «იმის იქედან გამოტანა და გაყიდვა, ამხანაგო, არ შეიძლება, ნება არ გვაქვსო», გეუბნება ნოქარი. თურმე იმიტომ გამოუკიდია, რომ აჩვენოს კუკლები საზოგადოებას, აი გვაქვსო საქონელი!!!

ეს თითო ოროლა გამომზეურება ვიტრინებში ყოველად უვარგისი ხარისხის საქონლისა ხდება მაშინ უმთავრესად, როცა უცხოეთიდან მოელიან დელეგატებს. ქალაქების მთავარ ქუჩების კოოპერატივთა მაღაზიებში, რომ ღმერთი გაუწყრეს და უცხოელებმა შეიჭვრიტონ, უნდა აჩვენონ მათ, აი თუ არ გვაქვსო! «ცილს გვწამებენ» მენშევიკები და სოციალ-რეფორმისტები, თითქოს უკან მივდიოდეთო! უცხოელებისთვის იმართება სადილები, მორთული კომფორტებით და სადღეგრძელოებში იბერება სიცრუის გუდა,—უცხოელებიც თავის ქნევით და ციინიკური ღიმილით მიირთმევენ ამ უფასო შამპანურებს და მსუქან-მსუქან სუკებს. ჩვენ როგორც გაგვიგია, იმათ უკვირთ ეს უფასო ბურჟუაზიული სადილები, რბილი ვაგონები, მერსედესები, ისინი ანგარიშის ხალხია. რასაკვირელია მათ როგორ შეუძლიათ შეამჩნიონ ჩვენი საშინელებანი. აი მაგალითისათვის ჩვენ მოვიყვანთ ერთ წარსულ ფაქტს, რომელიც თვითონ უნახავს თავის თვალით ამ სტრიქონების დამწერს. ტფილისის სადგურზე მოსკოვის მატარებლით ჩამოვიდა რომელიღაც ევროპიელთა დელეგაცია. პლეხანოვისა და ვაგზლის ქუჩებზე გამწკვრივებულია ხალხის თითო ვერსიანი რიგები, სანოვაგის მისაღებათ სასურსათო კოოპერატივების შენობებთან. გამოიცა ბრძანება, რომ სასწრაფოთ დაიშალოს და მოისპოს ხალხი რიგებიდან. ადმინისტრაცია ღებულობს ფიცხლავ გადამჭრელ ზომებს,და საწყალ მშიერ ხალხს, დასუსტებულს რიგში დგომით, მუჯლუგუნის კვრით ერეკებიან რიგებიდან, კეტავენ სანოვაგის მაღაზიებს, სადაც რიგებია გამართული. ყოველივე ეს ხდება ისე სასწრაფოდ და უხეშად, რომ ბატონყმობის დროსაც ძნელია ასეთი უხეშობა ადამიანმა წარმოიდგინოს. და რისთვის ხდება ყოველივე ეს? იმისთვის რომ ბიუროკრატები მერსედესებით უცხოელ დელეგატებს «მოაპრავაჟებენ» და როგორ შეიძლება უცხოელებმა ქუჩაში გაძვალტყავებული ხალხის რიგები შეამჩნიონ. ამის შემდეგ, ამხანაგებო, უცხოელები ბრუნდებიან ალბათ თავიანთ სამშობლოში და პრესის ფურცლებზე, თუ კლუბებში გაჰკივიან ვითომდაც სრული შეგნებით და პატიოსნებით «სიმართლეს», რომ საბჭოთა კავშირში ყოველივე რიგზეა, იქ სამოთხეა, სოციალისტები და მეორე ინტერნაციონალის ბელადები ატყუილებენ მუშებსო. აი როგორი საშუალებით არის იმათ გამოლაყებულ თავებში ეს «სიმართლე» ჩალაგებული! ასეთ მოვლენას მეტად ხშირად აქვს ადგილი, რის წინააღმდეგ საჭიროა ხმის ამაღლება და ცრუ დელეგატების ნიღაბის ჩამოხდა.

6. ნაციონალური საკითხი. მთელი ხელისუფლება რუსების და სომხების ხელშია. ქართული ენის სახელმწიფოებრივობა მარტო ქაღალდზეა დაწერილი ლიტონ სიტყვად. თუ გამოჩნდა რომე-

ლიმე მოქალაქე და მოითხოვა საქართველოში ქართულ ენაზე საქმის წარმოება ან მისი უპირატესობა, მას შოვინისტად აცხადებენ—და ასახლებენ, როგორც მავნე ელემენტს, ან კიდევ სამსახურიდან ითხოვენ.

ელიავა, ორახელაშვილი, ცხაკაია, მახარაძე და სხვები წარმოადგენენ ნამდვილ აგენტებს მოსკოვისას. მათაც ეშინიათ, რომ არ დასწამონ შოვინისტობა მოსკოვის მგლებმა. სომხის კომსომოლებსაც კი ანგარიშს უწევენ ამ შემთხვევაში ჩამოთვლილი გამცემლები. ამიტომ ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველ ერს არასოდეს არ განუცდია პოლიტიკურად ასეთი ჩაგვრა, როგორც ამას ის დღეს განიცდის. როგორც ვიცით სარწმუნო წყაროებიდან, საქართველოს ახალი დარაიონება მოხდა სომხებისა და რუსების ინიციატივით და წმინდა ქართულმა ტერიტორიამ დაკარგა თავისი ნამდვილი სახე. ეს ხდება იმ დროს, როდესაც სომხეთმა ჩინებულად მოიმარაგა და შემოიფარგლა თავისი ნაციონალური ტერიტორია. სიტყვა «საქართველოს» ხმარებას იშვიათად თუ გაიგონებთ, ყველას ეშინია ამ ტერმინის ხმარების, როგორც პარტიულს ისე უპარტიოსაც. საქართველოს მიწა-წყალი იყიდება ნაჯრობით და ბითუმად, მას ჯერ-ჯეროობით პატრონი არ ყავს.

7. საქართველოს ხელისუფლება ცენტრში განიცდის «ჩერვონეცის» მდგომარეობას. მას არ აქვს ფასი არც ადგილობრივ და არც მოსკოვის კრემლში. ყველაფერი იმპერატორ-სტალინის კვერთხს ემორჩილება. ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის პორტფელების ირგვლივ დაუცხრომელი დავაა.

ელიავას სურს გენერალური მდივნობა, მახარაძე თავის თავს სთვლის უდაო კანდიდატად. მიხა ცხაკაიას მიაჩნია ღირსეულ კანდიდატად ლოლობერიძე. შიშით მოელიან ქართველიშვილის დაბრუნებას. ბერიას უდაო თამასუქებს შეადგენს გადასახლებულთა და დახვრეტილთა სიები, და მოითხოვს საპატიო პორთფელის ჩაბარებას. ერთი სიტყვით ძაღლები ერთმანეთს ულრენენ ნადავლის განაწილებაზე. ასეთი მდგომარეობაა მოსკოვის ცენტრშიაც მიმდინარე მომენტში. მდგომარეობა კურიოზამდე მივიდა. ამ.-კავ. მთავრობა გადავიდა ახალ შენობაში, რომელიც მისთვის სპეციალურად ააშენეს პეტრე დიდის ქუჩაზე, ჩეკის გვერდით. ფილ-მახმა მოინდომა ძველ სასახლეში ყოფილ მეფის მოადგილის კაბინეტის დაკავება, როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ. მაგრამ მიხა ცხაკაიამ ღამის 2 საათზე გადაატანია თავისი ბარგი და მოიკალათა შიგ. ამაზე შეხლა შემოხლა მოხდა ფილ-მახსა და მიხას შორის. აი ასეთ ცინიზმამდე მივიდენ ჩვენი ქვეყნის ბატონები. მარტო ეს მოკლე მიმოხილვაც საკმარისია ჩვენი ტანჯული ცხოვრების ასასახავად.

ჯავა.

დედაქალაქი.
10 ნოემბერი 1930 წ.

სასურსათო კრიზისი.

სასურსათო კრიზისი ჯერ კიდევ 1928 წ. დაიწყო, მაგრამ ამ უკანასკნელათ არაჩვეულებრივ დონეს მიაღწია. კოლექტივიზაციის გაკოტრებას ასეთივე გაკოტრება მოჰყვა შედეგად ბაზარზეც. კერძო ვაჭრობა თითქმის სავსებით მოისპო, კოოპერატივები კი ქრონიკულ სიცალიერეს განიცდიან. სამრეწველო საქონელს კოოპერაცია მხოლოდ დროგამოშვებით ღებულობს, ისიც ცოტა რაოდენობით, რომელზედაც ორდერები უნდა იქნას წინდაწინ გაცემული. მომარაგებას რამდენიმე ორგანიზაცია უდგია სათავეში და ერთიმეორეს აბრალებენ კრიზისს. არა მარტო პური, ხორცი და სხვა... არამედ ბოსტნეულითაც ვერ შესძლეს ბაზრის უზრუნველყოფა. საქმეში ჩაერიენ ჩეკა, მუშ-გლეხინი და მთელი საბჭოთა აპარატი, მაგრამ ვერაფერი შესძლეს. სოფლად ხომ მონოპოლიაა გამოცხადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. გლეხს არ შეუძლია თავისუფლათ გაიტანოს ბაზარზე თავის ნაწარმოები. ყოველმხრივ შეუკრეს გზა ბაზრისაკენ. არა-თუ პირველ მოთხოვნილების საგნები, არამედ ნიგოზი, თხილი და სხვა, მან უნდა დაუთმოს კოოპერატივს ღირებულების 25 პროცენტათ. ამჟამათ სოფლად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა «პურის დამზადების კამპანია». ართმევენ გლეხს უკანასკნელ ლუკმა-პურს და ამით უნდათ სახელმწიფოს მარაგის შექმნა.

ყოველ კვირის განმავლობაში ახალ-ახალი კამპანიები მიმდინარეობს, მაგალითად «თესვის კამპანიის» დროს ასობით აგზავნიდენ ხალხს სოფლებში, გააფართოვეთ ფართობი, მეტი დათესეთ. ფაქტიურად კი, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გლეხმა აღარ დათესა იმაზე მეტი, რაც მის სარჩოს აღემატება. მას არ შეუძლია არაფრის ყიდვა კოოპერატივში, თუ სამაგიეროთ პური, ერბო, კარაქი და ან სხვა რამე არ მიუტანა.

მიუხედავათ იმისა, რომ კერძო ვაჭრობა მოისპო, ქალაქად და სოფლად მაინც მრავლად მოიპოვებიან არალეგალურად მოვაჭრეები, რომელთაც ქუჩა-ქუჩა და ეზო-ეზო დააქვთ სხვადასხვა პროდუქტები და ყიდიან მხოლოდ ისეთ პირებზე, ვისაც ენდობიან. დღეს ხშირათ გაიგონებთ სოფლად გლეხისაგან, ავტომობილში არ ვმჯდარვარ და ამ კომუნისტებმა ესეც გვაღირსესო. მერე რატომ ლაპარაკობენ ამას? იმისთვის რომ ტყავის ფეხსაცმელი სანატრელი რომ გაუხდათ, უვარგის რეზინებს უგზავნიან და მით იკერავენ ფეხსაცმელებს.

ფასები ხომ საზღაპროდ იზრდება დთითი-დღე. მაგ. კარაქი-ერბო გირვანქა—10 მან., ყველი—4 მან., თაფლი—4 მან., შაქარი—7 მანეთი, ხორცი—3 მან., პური შავი—40 კაპ., კერძო ბაზარზე, ისიც დიდი ხვეწნით.

ამჟამად ჩვენში ხალხი მხოლოდ ყოველ-დღიურ ჭამა-სმაზე ფიქრობს. დაწესებულებებში ყოველ კვირაში ლატარიები იმართება ორდერებზე, ეს იმით აიხსნება, რომ ხშირად ერთი ორდერი თუთხმეტ-ოც კაცზე მოდის. ხალხს უკვე ოცნებათ გადაექცა ტანისამოსის თავისუფლათ შეძენა. 1-ლ ოქტომბრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1930 წლ.) სასურსათო წიგნაკები ოთხ კატეგორიათ დაიყო, თვითეულ კატეგორიას საქონელი სხვადასხვა ნორმით ეძლევა. საერთოდ ნორმა კი მინიმუმამდეა დაყვანილი. არ არის ისეთი საქონელი, რომლის მოსვლისთანავე მუშკოოპთან უზარმაზარი რიგები არ გაჩნდეს. მთავარ ყურადღებას მუშათა მომარაგებებს აქცევენ ვითომ, ამ ნიადაგზე კიდეც საშინელი შუღლი დაბადეს მუშებსა და გლეხობას შორის. უკანასკნელათ გლეხები არაფერს არ ყიდიან ფულზე, თუ კი გაუვიდათ. მუშებისათვის წარმოებებში გახსნეს კოოპერატივები, სადაც ზაფხულამდე უხვად აძლევდენ გაყინულ ხორცსა და თევზს, ასე ამბობდენ ევროპამ უკან დაუბრუნა, ჩვენ ბევრი გვაქვსო; უკანასკნელათ კი ესეც შემოაკლდათ. მუშები დიდი უკმაყოფილონი არიან, თვით კომუნისტებიც. თვითეულათ ყველა გამოთქვამს უკმაყოფილებას, მაგრამ ისეთი ტეროორის ქვეშ არიან, რომ კრებაზე ყველა მაღლა წევს ხელს. მთელი ყურადღება ამ ბოლო დროს ფულის კურსის დაცემის შეჩერებისკენ აქვთ მიპყრობილი, მაგრამ ის თანდათანობით კარგავს თავის ღირებულებას. ფასი ყველაფერზე იზრდება, ჯამაგირები კი იმავე რაოდენობით რჩება (მუშის საშუალო ხელფასი 70 მან.) და ეს იმ დროს, როდესაც ფასი ყველა საგანს ემატება. ჯამაგირები ორი თვეა არ მიუციათ მუშა-მოსამსახურეთათვის.

მთელს რუსეთს შიმშილობა მოედო, როგორც იქედან ჩამოსული რუსები გადმოგვცემენ. საქართველოს ნამდვილ სამოთხედ თვლიან, თურმე იმიტომ რომ საქართველოში პური ორ აბაზად ღირს გირვანქა მაინც, რუსეთში კი ასეთ ბედნიერებაზე ოცნებაც ზედმეტია.

№.

1930. XI.

საერთაშორისო პერსპექტივები

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება საოცარის სისწრაფით იხლართება და რთულდება. ომისა, რევოლუციებისა და ებრვე სხვა შემფერხებელ და დამშლელ მოვლენათა შედეგები დიდის მტკივნეულობით დააწვა საზოგადოებას. ქვეყნად მოდებული ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი ყველას ერთნაირად ჰღუნავს—გამარჯვებულებსაცა, დამარცხებულებსაცა და იმათაც, ვინც ნეიტრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სოციალი არევდარევა მთის წალკოტებიდან დაქანებულ ნიაღვარივით ეხეთქება ხან ერთსა და ხან მეორე სახელმწიფოს, მის შემმუსვრელ ძალის წინაშე უმწეოთა დგა სასომიხდილი კაცობრიობა. გრანდიოზული გეგმით ამუშავებული სამრეწველო დაწესებულებასა, ფაბრიკასა თუ ქარხანას უცებ აჩერებს რაღაც უხილავი ხელი. მწყვდიადი მეფდება გუშინ ელვასებრ გაკაშკაშებულ სარკმელებში, ჰქრება კვამლისადენი, ალაყაფს კლიტე ჰრაზავს, ასიათასობით გამოწვდილი უქმად დარჩენილი ხელი მოწყალებას დაეძებს. ესევე ჯადოსნური ხელი უცებ აცალიერებს ოქროვერცხლით გატენილ ბანკს, ალიაქოთსა და ძრწოლას იწვევს ფულის ბაზარზე, ხალისისა და ინიციატივის ყოველივე სტიმულს ძირშივე აქოობს...

ასეთს ურვაში მყოფი საზოგადოებრივი ერთეულების სულიერი სახეც ერთავად კნინდება და მახინჯ ფორმებით ედება ცხოვრების ყველა მხარეს. მისი ნახმევი ყოველგან უწევს, ყველას აყრუებს. საკაცობრიო შემკრებილობით შეგნების წინ მთელის სიმწვავით აღიმართა საჭიროება საერთაშორისო ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახალ ფორმებში ჩაყალიბება: სახელმწიფო მეთაურთა მეცადინეობა უკანასკნელ წლებში ამ მხრივ მიიმართება; ზოგნი მოქმედებენ ფრთხილად, რადგანაც მომავლის სახიანობა მათ მიუთხრობლად ეჩვენებათ, ზოგნი მთლად ეჭვით არიან შეპყრობილნი, რადგანაც არაფერი სჯერათ მომავლისა, ზოგნი კი გაბედულათა და სწორწარხიდულათ მიექანებიან ახალი «სტუქტურის» შესაქმნელად,—ერთს კი ყველანი უტყუარათ ჰგრძნობენ: არსებული მდგომარეობის გადაუსხვაფერლობა უეჭველ ხიფათს უმზადებს ევროპიულ სახელმწიფოებრიობასა და საერთოდ ცივილიზაციას.

სკეპტიკოსები ირწმუნებიან, რომ ხალხთა ცხოვრების გამოკეთების უებარი საშუალების გამონახვის ცდა ჯერ კიდევ უიმედოთ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან ისეთი უშველებელი კათაკლიზმის შედეგები, როგორიც იყო მსოფლიო ომი და მის მომდევნო ამბები, ასე ადრე ვერ ამოიჭამებიან და რომ ახალი, უკეთესი სოციალ-პოლიტიკური ფორმების და წესიერი საერთაშორისო ურთიერთობის შესაქმნელად მრავალი ისეთი ობიექტიური პირობები არის აუცილებელი, რომელთათვისაც თანამედროვე ბრაზშემოყრილ კაცობრიობას კმასაყოფელი შემზადება აკლია, ან სულაც არ გააჩნია.

ომის შედეგებზე როცა ლაპარაკობენ, სახეში აქვთ არა მხოლოდ საერთო არევდარევა და ნგრევა, რაიცა არავის ასცდენია, აქ იგულისხმებიან შედეგები ასე ვთქვათ ხელოვნურათ შემოღებულნი და განაარსებულნი მათ მიერ, ვისაც ომმა თავის ნების სხვათადმი კარნახის შესაძლებლობა არგუნა. ომის შეწყვეტის მეცამეტე წელიწადზე უკვე გაბედულათ ისმის ხმა საერთაშორისო «უსამართლო» ხელშეკრულებათა რევიზიისათვის, ხოლო ზოგნი ამასაც არა სჯერდებიან და მათ სრულ გაბათილებას მოითხოვენ. კითხვის ასე შეურიგებლად დასმა იმისი მომასწავებელია პირველყოვლისა, რომ «აბსულუტურ» გადასინჯვის ინიციატორები ძალიან ნაკლებ სწორეთ თანხმობასა და სოლიდარობაზე ზრუნავენ! მართლაც სად უნდა ვეძიოთ «სამართლიანობის» კრიტერიუმი, როდესაც საქმე გვაქვს საერთაშორისო ტრაქტატებთან? ხელშეკრულებათა ისტორია ამ ხნობამდის ასეთს თავდებობას არ იძლეოდა: ყოველს კონკრეტულ შემთხვევაში ერთი კონტრაგენტი ცოტარამს იგებდა, მეორე ასევე მცირედათ აგებდა. ინტერესთა წონასწორობას ძალთა განწყობილება ჰსა-

ხავდა და განახორციელებდა. სხვაგვარად დაწერილ ხელშეკრულების ღირებულება რეალურად ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული იყო; ისტორიამ იცის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამატებითი ტრაქტატებიც, გარნა მათი ეფექტი ფრაზეოლოგიას როდიღა სცილდებოდა!

როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც მუდამ ქამს ხდებოდა, ხელშეკრულების რევიზიას ეხლაც ომის წამგებლები მოითხოვენ, მომგებთა რიცხვში კი ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზისა გამო იმდენი ვერ მიიღეს, თუ ვერ მოჭრეს, რამდენიც ენუკვრებოდათ. ეს საკითხი ჩვენ, ქართველთათვის, უცხო საგანია და არც საინტერესო იქნებოდა მასზე შეჩერება, უკეთუ დავა მის ირგვლივ «აკადემიურ» მხარეს არ გადასცილდებოდა, მაგრამ ჩვენა ვხედავთ, რომ ქვეყნის პრესსაცა და დიპლომატიაც დღემუდამ ამ კითხვის განხილვაშია პრაქტიკული თვალსაზრისით, ვამჩნევთ, რომ მისი სიმწვავეც თანდათანობით იზრდება და საშფოთო მასალას განუწყვეტლივ იზიდავს და აღვიებს. ბოლო დროს საქმე იქამდისაც მივიდა, რომ სახელმწიფოთა ურთერთისადმი მიმართება სრულებით იცვლება, სწარმოებს ხელახალი გადაჯგუფება და სწორეთ იმ პრინციპის მიხედვით, თუ ვინ არის კმაყოფილი და ვინ უკმაყოფილო. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში მომხდარი შინაგანი პოლიტიკური გადადრეკანიც მეტნაკლებობით ზემორე მოთხრობილ მოტივებით სულდგმულობენ, ხოლო ამით კი მშვიდობიანობის დასაფუშავად ისედაც აწეული ჩახმახი ზედმეტად იყალხება!

ასეთს აწეწდაწეწილ ვითარებას ზედერთვის მესამე ინტერნაციონალის ბურჯის—რუსული კომუნისტური ხელისუფლების აღვირაშვებული პროვოკატორული მოქმედება. ამის თაობაზე მასლაათი შორს წაგვიყვანდა, ხოლო ჩვენთვის ეს საჭიროც არ არის: თუ სხვები მხოლოდ ეხლა ერკვევიან მოსკოვის ოინბაზობაში და ხანტად ეცნობიან რუსულ ბოლშევიზმის სიმყრალეს, ჩვენთვის ამ საერთაშორისო ინტრიგანების ბუნებაცა და ზრახვებიც, ჰაი ჰაი, რომ გარკვეულიც არის და გამოცნობილიც. დიდი პოლიტიკური ნიჭი არ არის საჭირო იმის გასაგებათ, თუ ვისი ხელი დაქანაობს ისედაც ამღვრეულ წყალში, ვინ არის ყველაზე სახიფათო, თანაც ვერაგი მტერი საერთაშორისო მყუდროებისა, ვინ არის თაოსანიცა და შემსრულებელიც ყველა იმ აქტებისა, რომელთა თავდაპირველ მიზანს სწორეთ ის შეადგენს, რომ საყოველთაო დაუსრულებელი დეზორგანიზაციითა და ხალხთა ერთიერთმანეთზე გადაკიდებით გაახანგრძლივონ საბჭოების ძირგამომპალი საყოფელი. გარდა იმისა, რომ დედამიწის აღებმიცემობის ჯამს ერთი მეექვსედი არსებითად დააკლდა (საბჭოთა მთავრობის ბოლო დროის ცუღლუტური «საკომერციო» ოპერაციები, როგორც მაგალითად, დამპინგი და სხვ. საქმეს სრულებით არა შველის), ამავე დროს იქ წამოსკუპებული მაჯლაჯუნა «სახელმწიფო» სისტემა დანარჩენი ხუთი მეექვსედის ამლასაც თავის «პროვიდენციულ» მოვალეობათ ისახავს.

დაუძლეველ სიძნელეში ჩაყირავებულ სახელმწიფოების წინაშე კიდევ ერთი ახალი საშიშროება აიტუზა: ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო—ამაზეა ნათქვამი. ბევრ გულუბრყვილო პოლიტიკოსს კი ეგონა, რომ საბჭოთა რუსეთი ევროპასთან დაახლოვებითა და დაკავშირებით ასე თუ ისე «გაშალაშინდებოდა», უკუაგდებდა ხალხის ასაწიოკებლად გამოგონილ წესწყობილებას, შვებას მისცემდა მისმიერ დღეს უმოწყალოდ დევნილ ერებს, უარს იტყოდა სოციალურ სიყაჩაღეზე, ერთი სიტყვით მოისურვებდა «ევოლუციის» გზაზე შედგომას.. და ევროპასაც რამე ეშველებოდა! რაოდენი გაწბილება ჰხვდათ ასენაირათ დაიმედებულებს, როცა გიჟი მოუშვეს და გვერდზედაც კი მოისვეს: მოსულმა, როგორც მას შეჰშვენოდა, ფეხები არხეინათ მაგიდაზე შეაწყო და «მასპინძლებს» ისეთნაირათ შეუბღვირა, რომ მათ შეშინებულებმა ვეღარც კი იდროეს გონზე მოსვლა, როცა ირგვლივ ყველგან აყვირდნენ მოსკოვის ყაიდაზე ამოქმედებული სხვადასხვა სახელწოდების კომუნისტური «უჯრედები». და მოსკოვსაც ეს უნდოდა: აპაშური «კეპკა» მან ფიცხლავ გადიგდო თავიდან და დიპლომატურ ცილინდრში გამოპრანჭულმა ხელი მიჰყო თავის ჩვეულ გამხრწნელ საქმიანობას, ხოლო ეხლა უფრო მეტის რიხითა და ფარფაშით.

ამგვარათ ბრძოლა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უფრო მეტად გაძნელდა: საბჭოთა რუსეთმა საგნობრივათ ვერაფერი შეჰმატა კაცობრიობას, ხოლო სულიერად ერთიანად მოწამლა ისედაც დაავადებული ატმოსფერა. თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა, რომ ქვეყანას თავისი სახეობა მისცეს, ესე იგი, სხვაგანაც გაჩაღდეს ხოცვაჟლეტა, ცარცვაგლეჯა, სოციალი გავერანება, ბრალიანისა და უბრალოს აწიოკება,—ყველა ამისა გარდა საბჭოთა რუსეთი მოხერხებულათა სარგებლობს ომის შემდგომ განწყობილებას და ზოგიერთ უკმაყოფილო სახელმწიფოებს იმ აზრს უნერგავს, რომ მისი შემწეობით შეუძლებელი არ არის «უსამართლო» ხელშეკრულებათა მის ავტორების თავზე გადახევა; როგორც ირკვევა, აქაიქ თითქოს კიდევაც ჭკუაში უჯდებათ ბოლშევიკების ლათაიები, ხოლო თუ რუსეთის მძლეთა-მძლეობისა ამ სახელმწიფოებს მაინცადამაინც არაფერი სწამთ, მისი ახრდილით მოწინააღმდეგებზე ერთგვარი გავლენის მოხდენას მაინცა ლამობენ. ვფიქრობ, ასე მხოლოდ შეიძლება გაგება იმ არაბუნებრივი «კოალიციებისა», რომელნიც ამ ბოლო დროს ეწყობიან. საბჭოთა რუსეთს ამ გვარ შეჯგუფებებში იმდენად უჭირავს თვალსაჩინო ადგილი, რამდენადაც ამ გარემოებით მიზანში აღებული არის საზოგადოთ ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენა. ამავე დროს არც მოპირდაპირე მხარე ეძლევა სალათას ძილს, პირიქით რაკი რუსოფილების აგრესსიობა საკმარისად გამოაშკარავდა, ამ ბანაკსაც დაეტყო გამოფხიზლება, ჯერ ხნობით «საკარნახო სიმაღლენი» უკანასკნელის ხელშია...

ჩვენი სამშობლოს რუსეთის მიერ დამონების ათი წლის თავზე ასე გვესახება ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობა. როგორი უნდა იყოს ჩვენი დანასკვნი? საით იხრება ბედის სასწორი? უნდა სასოწარკვეთი-

ლებას მივეცეთ, თუ უფლება და საფუძველი გვივის იმედით ვუპვრიტოთ მყობადს? გარნა ასეც შეიძლება შევაბრუნოთ კითხვა: რას უწერია ბოლოსადაბოლოს გამარჯვება—ცივილიზაციასა, უფლებასა და სამართლიანობასა, თუ ბარბაროსობასა, ტირანობასა და უსამართლობასა?

ვისაცა ჰგონია, რომ სიველურემ უნდა სძლიოს კულტურას, განუსაზღვრელმა თვითნებობამ უფლებრიობას, ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ მწყვდიადმა უნდა ჩანთქას სინათლე,—მისთვის უმჯობესია ადრევე გამოეცალოს საქართველოს ბრძოლის საქმეს.

ხოლო ვინც იცის, რომ ქართული საქმე სპეტაკია და თვალუწვდენელ ისტორიის სიბრძნით შემოსილი, ის მხნეთ განაგრძობს სვლას შეფერხებული ისტორიის აღსადგენათ:

Sedes sapientiae
non evertetur...

რ. ინგილო.

მოსკოვი წინეთ და ეხლა

II.

ბოლშევიკური იდეოლოგიის გენეოლოგიას მე აქ არ ვეხები. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, მას ვურჩევ გულდასმით წაიკითხოს ნ. ყორდანიას წიგნი «ბოლშევიზმი» და იქიდან ნათლად დაინახავს, თუ როგორი იდეოლოგიური ნათესაობა აქვს ბოლშევიზმს რუსულ ნეჩაევშჩინასთან, ბაკუნიზმთან, ნაროდნიკულ სოციალიზმთან. ამ მხრით საინტერესოა ფ. სტეპუნის წერილებიც ჟურნალ «სოვ. ზაპისკში».

აქ მე მსურს, რამდენათ ეს შესაძლებელია საგაზეთო წერილებში, მკითხველს გადაუშალო იმის სურათი, თუ როგორი ახლო ნათესაობა აქვს საბჭოურ სახელმწიფოს სისტემას მოსკოვურ სახელმწიფოს სისტემასთან და ბოლშევიკების პრაკტიკულ მოღვაწეობას—თვითმყრობელობის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. მკითხველი დაინახავს, რომ მთავარში ისინი ერთიმეორისაგან დიდათ არ განსხვავდებიან.

რუსეთის რევოლუციას ახასიათებს საბჭოური სახელმწიფო სისტემა და ბოლშევიკური დიქტატურა. მაშ ვნახოთ რით ხასიათდება ბოლშევიკური ხელისუფლება და რა მსგავსება აქვს საბჭოურ სახელმწიფოს მოსკოვურ სახელმწიფოსთან?

პირველ ყოვლისა საბჭოურმა სახელმწიფომ, ნეპის ხანის გამოკლებით, არ იცის არავითარი საკუთრება გარდა სახელმწიფოს საკუთრებისა, ისე როგორც მოსკოვის სახელმწიფომ. საზოგადოებასა და პიროვნებას არც არავითარი საკუთრება გააჩნია და არც არავითარი შემოქმედების უფლება აქვს ეკონომიური ცხოვრების სფეროში. ყველაფრის პატრონია სახელმწიფო და ყველაფერს განაგებს და ხელმძღვანელობს მთავრობა და მისი აგენტები. მოქალაქენი მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებათა მატარებელები არიან და მთავრობის განკარგულებათა აღმასრულებელნი. პრაქტიკაში ყოველშემთხვევაში არ არსებობს არავითარი იურიდული უფლებრივი ნორმა, რომელიც მოქალაქის მატერიალურ უფლება-მოვალეობას უზრუნველყოფდეს და რომელიც მთავრობისა და მისი აგენტების მოქმედებას საზღვრავდეს. ბოლშევიკები თვითონ ამბობენ: დიქტატურა არის ყოველი კანონის მიერ შეუზღუდველი ხელისუფლებაო. ამით აიხსნება ის, რომ სახალხო მეურნეობაშიც ისეთივე წესი პირპაშობს, როგორც პოლიტიკაში. თვით შრომაც კი, რომელიც მშრომელის საკუთრებას წარმოადგენს, არ არის ამ მხრით უზრუნველყოფილი და საბჭოურ სახელმწიფოში მეტ შევიწროებას განიცდის, ვინემ—კაპიტალისტურში.

საბჭოური სახელმწიფოს მეორე დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ მან არ იცის «ადამიანის და მოქალაქის უფლება», რომელიც ევროპის ყველა რევოლიუციების ლოზუნგი იყო. საბჭოური კონსტიტუცია სცნობს მხოლოდ «პროლეტარიატის და და გლეხობის დიქტიტურას», და ისიც განსაზღვრულ პირობით. სინამდვილეში არც ამ ორი კლასის დიქტატურა არსებობს. კომუნისტური პარტიის პრინციპი-მიზანი ამართლებს საშვალებას, დაწერილ კონსტიტუციას სავსებით აბათილებს. არამც თუ უბრალო მოქალაქის რაიმე უფლებებზე არ შეიძლება ლაპარაკი, არამედ თვით კომუნისტური პარტიის წევრების პრივილეგიაც სახელმწიფო ბეგარის ხასიათს ღებულობს. დიქტატურა ამ ბოლო დროს კომუნისტს სავალდებულო ფუნქციებს მეტს აკისრებს, ვინემ საპრივილეგიო უფლებებს.

და ეს ასეა იმიტომ, რომ საბჭოურმა სახელმწიფომ, ისე როგორც მოსკოვურმა, არ იცის პიროვნების, სიტყვის, კრების და და სინდისის თავისუფლება. მან არ იცის კერძო საკურების ინსტიტუტი იმ სახით, როგორც იგი წარმოიშვა და განვითარდა დას. ევროპაში. თანამედროვე ცივილიზაციის და დემოკრატიის ეს მთავარი ატრიბუტები არ გააჩნდა მოსკოვურ სახელმწიფოს და არ გააჩნია ისინი არც საბჭოურს.

ეხლა ვნახოთ, რას წარმოადგენს მოსკოვური სახელმწიფო. იგი სავსებით მე-12 საუკ. ჩამოყალიბდა. მას საფუძვლათ დაედვა მონღოლური სახელმწიფოებრივი სისტემა. მოსკოვის მეფეები იყვნენ თათრების ყეენების შეგირდები. გარდა ამისა თვით მონღოლები დიდ აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მოსკოვის სამეფოს შექმნაში. ერთი მათგანი სიმონ ბეკბულატოვი მეფე ივანე მრისხანემ რუსეთის ხელმწიფეთ გამოაცხადა და მას მორჩილებდა. ბეკბულატოვს რუსეთის დიდ ხელმწიფეს უწოდებდა, ხოლო თავის თავს მოსკოვის დიდ მთავარს ივანე ვასილიევიჩს. ერთი სიტყვით, მოსკოვის სამეფოს შექმნაში თათრები ისეთივე დიდ როლს თამაშობდენ, როგორც შემდეგ იმპერიის შექმნაში—გერმანელები, მაგრამ როგორც სჩანს, თათრების გავლენამ რუსეთზე უფრო ღრმა კვალი დასტოვა, ვინემ გერმანელებისამ. პეტრე დიდის მიერ იმპერიათ მონათლულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთმა, ივანე მრისხანეს მოსკოვური სამეფო ვერ მოინელა. ეს უკანასკნელი დღემდის მეტ ცხოველმყოფელობას იჩენს, ვინემ გაევროპიელების გზაზე შემდგარი რუსეთის იმპერია.

რათ მოხთა ასე?

ამის პასუხი უნდა ვეძიოთ მოსკოვური სახელმწიფოსა და პეტერბურგული იმპერიის ნათესაობაში. მიუხედავათ მათი გარეგნული სხვადასხვაობისა, ფესვი მათ ერთი და იგივე აქვთ და ერთი ნიადაგით არიან ნასაზრდოები.

«მოსკოვური სახელმწიფო, სწერს პროფ. კლიუჩევსკი, ეს შეიარაღებული ველიკოროსიაა, რომელიც იბრძვის ორ ფრონტზე, დასავლეთით—ეროვნული მთლიანობისათვის და სამხრეთ-აღმოსავლეთით—ქრისტიანულ სარწმუნოებისათვის. ეს ერთი. მეორე მის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ბეგრული უუფლებო შინაური მართვა-გამგეობა და საზოგადოებრივი შემადგენელობა თავისი მკაცრათ ერთი მეორისაგან განკერძოებული წოდებებით. მართავდენ ვალდებული ორგანოები: ზევით—მსახურნი ხალხნი, ქვევით პასუხისმგებელი რჩეული წოდებანი. წოდებები განირჩოდენ ერთიმეორისაგან არა უფლებით, არამედ ვალდებულებებით,, რომელიც მათ შორის განაწილებული იყო სახელმწიფოს მიერ. ისინი ვალდებული იყვნენ ან დაეცვათ სახელმწიფო და ან ემუშავათ მისთვის. ამიტომ მოსკოვის სახელმწიფოში იყვნენ მხოლოდ კომანდირები, სალდათები და მუშები და არ იყვნენ მოქალაქენი.

მესამე დამახასიათებელ თვისებას მოსკოვური სახელმწიფოსას შეადგენს უმაღლესი ხელისუფლება განუზომელი და განუსაზღვრელი სამოქმედო ასპარეზით და თავისი ორგანოებისადმი წინასწარი გარკვეული დამოკიდებულების უქონლობით» (კლიუჩევსკი, რუს. ისტ. ტ. II გვ. 514).

მოსკოვური სახელმწიფოს დიდი თაყვანისმცემელი ჟურ. «სოვრ. ზაპისკის» რედაქტორი ესერი ი. ბუნაკოვი ამ მოვლენას ხსნის იმით, რომ მოსკოვის სახელმწიფო და მისი ხალხი არის წმინდა აღმოსავლეთური. იგი არ ეთანხმება «ისტორიულ სკოლის» მეცნიერებს პროფ. სოლოვიოვს, კლიუჩევსკის, მილიუკოვს, კიზევეტერს და მათ შორის მარქსისტ ისტორიკოსს რაკოვს, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფოს აღმოსავლეთურ წყობას ხსნიან რუსეთის ჰავათი, ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობით და სახელმწიფოს სტრატეგიული მდგომარეობით, და სწერს: «როდესაც ევროპიელებმა აღმოაჩინეს მოსკოვის სამეფო, ისინი დიდ განცვიფრებაში მოიყვანა ერთმა დიდათ გასაკვირალმა ფაქტმა: მთელი ეს უზარმაზარი ქვეყანა, თავისი მიწით, წყლით, ტყით, მთელი ძვირფასი ბეწვეულობისა და თევზეულობის სიმდიდრით, ქალაქებითა და სოფლებით და მათი მოსახლეობით, შეადგენდა სიმდიდრეს და საკუთრებას ერთი მომაკვდავი ადამიანისას—მეფისას. დასავლეთშიც მორწმუნე ხალხი ამბობდა: ყველაფერი რაც ჩვენ გვეკუთვის, ეკუთვნის ღმერთს, მაგრამ ქვეყნათ კი, მთელი მათი ქონება ეკუთვნოდა მათ და სხვას არავის. ასე არ იყო მოსკოვის სამეფოში. აქ ქვეშმრდომთა მთელი ქონება და თვით ქვეშემრდომნიც, ეკუთვნოდენ ღმერთსა და მეფეს (ფაქტიური მნიშვნელობა ქონდა მეფეს. კ.). დას. ევროპის მეფეები ზოგჯერ დიდ უფლებას პოულობდენ თავის ქვეშევრდომზე, მიუხედავათ ამისა, ქვეშევრდომის პიროვნება და ქონება ხელუხლებელი იყო. წინააღმდეგ მოვლენას ქონდა ადგილი აღმოსავლეთში. პიროვნებაც და მისი ქონებაც დამოკიდებული ივო მეფის სურვილზე. მას შეეძლო მიეცა ქვეშემრდომისათვის ქონების სარგებლობის საშვალება და შეეძლო იგი წაერთმია და ეს არ ითვლებოდა კანონის დარღვევათ. ასეთსავე სურათს ვხედავთ მოსკოვის სამეფოში, სადაც ქვეშემრდომთა შრომაც და ქონებაც მეფეს ეკუთვნის. მეფე აყენებს სამუშაოზე თავის ქვეშერმდომთ და მეფე განაგებს მათ ქონებას. ქვეშეომდომნი სარგებლობენ ქონებას თავის სიცოცხლეში, ან მემკვიდრეობით, მაგრამ თუ მეფეს სურს, მათ ქონებას ჩამოართმევენ, გაცვლიან სხვაში, ანდა მიაწერენ ხაზინასო». (ბუნაკოვი. «გზები რუსეთისა» ჟურ. «სოვრ. ზაპ.» № 32 გგ. 235).

ი. ბუნაკოვი აღტაცებულია მოსკოვური სახელმწიფოს სისტემით და ასეთ დიფირამბებს უმღერის მას: «რუსეთის მიწათმფლობელობის შესახებ კამათობდენ დიდხანს და გატაცებით. მის საფუძველს ეძებდენ ყველგან: პირველყოფილ კომუნიზმში, სლავიანთა ზნე-ჩვულებაში, საშუალო საუკუნის ფეოდალიზმში, გლეხი-კოლონისტის თავისუფალ შემოქმედებაში და ბატონ-ყმურ სახელმწიფოს ძალ-მომრეობაში. მაგრამ ნამდვილი სათავე რუსული მიწათფლობელობის წესის იშლება მხოლოდ ჩვენი თვალის წინ. თითქოს ერთი ბარის დაკვრით აღდგენილია ძველი თეოკრატიული აღმოსავლეთი. ქვაზე ქვის დადებით აღადგენს ისტორიული მეცნიერება მართმადიდებელ მოსკოვის სახელმწიფოს. მასთან ერთად იხსნება მიწათმფლობელობის წესის საიდუმლოებაც. იგი მისი სისხლი და ხორცია. ის გაიზარდა და მომწიფდა იმავე სულიერ საფუძველზე, რომელზედაც წარმოიშვა და გაიზარდა მოსკოვის სამეფო, იგიც აღმოსავლეთის კულტურული მშენებლობის ერთი სახეთაგანია. მოსკოვური სამეფო შესცვალა რუსეთის იმპერიამ. დასავლეთის ახალი წესები მჭიდროთ რკალივით შემოერტყენ აღმოსავლეთურ საფუძვლებს. მაგრამ ცხოვრების სიღრმეში ვერ ჩაწვდენ და საფუძვლებს ვერ შეეხენ. და აი ამ საუკუნოების წესებზე იყო დამყარებული რუსის მშრომელი ხალხის შეგნება. ამ საფუძველზე მწიფდებოდა ხალხის პათოსი და ხურდებოდა ხალხის ვნებანი. და როდესაც დიდმა რევოლიუციამ რუსეთის იმპერია ააფეთქა, ხალხურმა პათოსმა და ვნებამ გადმოხეთქა შეუკავებელი ძალითოო». (იქვე გვ. 277).

აი ასე გვიხასიათებს მოსკოვურ სახელმწიფოს თავისებურობას «ზაპადნიკი» კლიუჩევსკი და ნაროდნიკი ბუნაკოვი. უკანასკნელს ბოლშევიკური რევოლიუცია მოსკოვური სახელმწიფოს გაგრძელებათ მიაჩნია. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ მხრით იგი არ ცდება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ «აღმოსავლეთურ მოსკოვურ მისტიურ სულს», რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველი არ იძლევა მოსკოვის სამეფოს წარმოშობის სწორ ახსნას. ამ მხრით «ისტორიული სკოლა» უფრო სწორ განმარტებას იძლევა, ვინემ «რუსეთის თავისებურობის» მოტრფიალე ნაროდნიკი.

ეხლა ვნახოთ, თუ რა როგორი შეხედულებისა იყო მდაბიო ხალხი მოსკოვის სახელმწიფოზე. აი როგორ მოგვითხრობს მემატიანე მათ აზრს: «გავრბივართ ჩვენ, ამბობდენ დონელი კაზაკები, სახელმწიფოდან მოსკოვისა, სამუშაოდან მუდმივიდან, მონურ ტყვეობიდან, ხელმწიფის ბაიარებისაგან და აზნაურებისაგან; გადმოვიხვეწეთ და დავესახლეთ აქ გაუვლელ უდაბნოსა შინა და შევსცქერით მაღლა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა».

ლაპარაკობდენ ისე, როგორც დღეს საბჭოთა კავშირიდან გამოქცეული გლეხები. ყველა ზემოთ ხათქვამიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი ახლო ნათესაობა აქვს საბჭოურ სისტემას მოსკოვურ სახელმწიფოს სისტემასთან.

კაჟი.

საქართველო ციფრებრთ

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

საქართველოს პოლიტიკურ პირობებში ვერ მოხდა მისი ბურჟუაზიის ამ საფეხურებამდე ასვლა, ამ ბურჟუაზიამ ვერ გამონახა ყველა ამის მოსაქმედათ ვერც საკმაო ძალა და ვერც უნარი. იგი ბოლომდე წვრილი ტიპის ვაჭრად დარჩა. როგორც ასეთი იგი უეჭველად აკეთებდა ერთგვარ დადებით მუშაობას. თუ თვითონ ვერ შეიქმნა ახალი საფასურების შემომქმედი, როგორც შუამავალი, მწარმოებელს და მომხმარს შორის, იგი სასარგებლო ფუნქციას ასრულებდა. მხოლოდ ამითი უნდა იყოს განსაზღვრული მისი როლი და მნიშვნელობა ჩვენი ერის ეკონომიკაში. იყო თუ არა იგი, როგორც ფულის «გამკეთებელი», მდიდარი, ან რა საზომით იზომებოდა მისი სიმდიდრე, ეს დღესდღეობით, გამოანგარიშების გარეშე რჩება. ბოლშევიკებს ბევრი რამ შეეძლოთ ეთქვათ ამ კითხვის ასახსნელად... მათ ჩვეულებათა აქვთ სტატისტიკა იქონიონ დახვრეტილ მსხვერპლებისა. იქნებ თავის დროზედ ისიც გამოაქვეყნონ, თუ რამდენი აართვეს და გაფლანგეს იმ ფულიდან, რომელიც ჩვენებურ მოვაჭრეთ დიდის შეჭირვებით და თავში ცემით ქონდათ დაგროვილი. ჩვენ გვწამს, რომ ის თანხა არც ისე დიდი იქნებოდა, როგორც, ამას ალბად, ბოლშევიკები მოელოდნენ და არც ისე უმნიშვნელო, რომ იგი ღირსი არ ყოფილიყოს სათვალავში ჩაგდებისა...

თუ ჩვენში კომერციამ ვერ მიიღო ფართე განვითარება, მით უფრო უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა მრეწველობა.

სახელმწიფო აპარატის მიერ სათანადო წამქეზებელ ზომების არ შემოღება იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას მოსდევდა ეკონომიური სიმდაბლე და ერთობ გვიანდებოდა იმ პირობების დამყარება, ურომლოთ ვერც კომერცია და ვერც ინდუსტრია-მრეწველობა ვერ გაიზდებიან. როდესაც სახელმწიფო ზომებზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ სრულებით არ ვგულისხმობთ ე. წ. «პროტექციონულ» მფარველობის შემოღებას. ეკონომიური შემოქმედების გაფართოებისათვის ჩვენთვის ისიც დიდი წყალობა და ხეირი იქნებოდა, თუ რუსეთის მთავრობა უარს იტყოდა იმ გამანადგურებელ ეკონომიურ პოლიტიკაზედ, რომელსაც ჩვენში ანსორციელებდა.

განსაკუთრებული დედინაცვლური საერთო პოლიტიკა, სასტიკი სატარიფო ზომები, ამნაირივე ადმინისტრატიული ხერხები—აი რამ დააყენა უკან ჩვენი ეკონომიური წინსვლა.

ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ, როდესაც კვლავ დამყარდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეკონომიურს ყველა დარგებში ჩვენ ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი დაგვხვდა. მაშინ ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ საქმის გამოსწორება, ეკონომიური ძალების და მასთან მრეწველობის აღორძინებაც, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში იყო შესაძლებელი.

ამ დარგში დიდ მიღწევათა შესაძლებლობა მით უფრო იყო უეჭვო, რომ ჩვენს ქვეყანაში ამისათვის შესანიშნავადაა მოცემული ყველა პირობები და საშუალებანი, დაწყებული საჭირო ნედლი მასალიდან.

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი ვერნერ ზომბარტი («კაპიტალის გენეზისი»-ს, I ტომი) მოწმობს, რომ მეურნეობის ახალი ფორმის აღორძინება-გამაგრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მოსახლეობის იმ ნაწილის ზრდას, რომელიც ველარ ეტევა სასოფლო მეურნეობაში, ვინაიდან გადაჭარბებულადაა იქ გაზდილიო.

ეს პირობა კარგა ხანია, რაც საქართველოში დამყარდა. ჩვენი ხალხის სიღარიბის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მისი დიდი ნაწილი იძულებულია სოფლად დარჩეს გადაჭარბებულათ მაშინ როდესაც საამისოთ იქ მას აღარა აქვს დიდი რამ გასაკეთებელი და ამავე დროს მოკლებულია საშუალებას თვისი შრომა სხვაგან მოიხმაროს, სხვა და ახალ ღირებულობათა შესაქმნელად.

ზომბარტის გამოთქმით შეუძლებელია კაპიტალისტური მეურნეობის დამყარება, თუ წინასწარ არ ხდება მატერიალური ძალების საჭირო სიმაღლემდე დაგროვება, და ეს მატერიალური ძალა უთუოდ ფულის სახით უნდა იყოს მოცემულიო. თუ ეს აუცილებელია, ჩვენშიც ხომ ხდებოდა ფულით სიმდიდრის დაგროვებანი და ჩვენებური ვაჭარ-სოვდაგრები, ამ მხრით, სწორედ ფულის «გამკეთებელნი» და დამაგროვებელნი იყვნენ. მათ არ ქონდათ გასაქანი და წამქეზებელი პირობები, რომ იგი სამრეწველო კაპიტალათ გადაექმნათ და თვით ეს დაგროვებაც ჩვენში ამიტომ ნელის ტემპით ხდებოდა, შედარებით მასთან, რაც ევროპა-ამერიკაში იყო. მაგრამ ნელის ტემპით დაგროვება არ მოასწავებს სრულ უქონლობას..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, ჩვენ სინამდვილეში არ ყოფილა ის, რაზედაც ხსენებული ეკონომისტი მოგვითხრობს, მშერმეტყველათ და მისგან ერთგვარ დრამატიულის კილოთიც. «დასავლეთ ევროპის მეურნეობის განვითარება ვერ მოხდებოდაო, გვასწავლის ვერ. ზომბარტი, რომ წინასწარ არ მომხდარიყო ქვეყნიერების სამი ნაწილის გაყვლეფა-გაცარცვაო. აღორძინება იტალიის ქალაქებისა, პორტუგალიის, ისპანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისისა—წარმოუდგენელია, რომ წინასწარ არ მომხდარიყო არაბთა კულტურის მოსპობა, აფრიკის გაძარცვა, სამხრეთ აზიის და მისი კუნძულების, განთქმულ ოსტ-ინდიის, ინკების და აცტეკთა გავითარებულ სახელმწიფოების სიძლიერეთა შეჭმა და მათი დაღარიბებაო...»

«ცნობილი ფაქტიაო, განაგრძობს ჩვენი ავტორი, რა სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისულნი ამგვარი დარბევით წითელ-კანიანი ხალხები. ისინი შვებას მხოლოდ იმაში პოულობდენ, რომ თავს იკავებდენ და საჭიროო ზომებს ღებულობდენ, რომ მათი მოსახლეობა არ გაზდილიყო, ან კიდევ მასსიურ თვითმკვლელობას ეძლეოდენო»...

ყველა ეს ზომები გამოწვეული იყო ევროპის მიერ კოლონიალურ პოლიტიკის განხორციელებით, იმ პოლიტიკის, რომელიც. ზომბარტისავე თქმით, «ერთ-ერთ წამქეზებელ მომენტად გახდა კაპიტალიზმის დამყარებაში». აქ აწერილი წესებით არ მომხდარა ჩვენში წინასწარი კაპიტალის დაგროვება და ნურც ვინანით ამას! საუბედუროთ, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის უფრო ექსპლოატაციის ობიექტი იყო, ეს არის სავალალო! როგორც ვსთქვით, ფულის «კეთება» ჩვენში უფრო ნელის ნაბიჯით ხდებოდა, ისე როგორც ეს შეეფერება უადრესად აგრიკულტურულ ქვეყანას. ღვთით არის ისეთი სასოფლო-მეურნეობის ქვეყნები, რომელნიც არ გამხდარან იმ საშინელებათა მონაწილენი, რაზედაც ვერნერი მოთხრობს, და მიუხედავად ამისა, იქ მრეწველობა მაინც გაჩენილა...

ჩვენც შეგვეძლო ამ უკანასკნელთა გზით წინსვლა, გულშემტკივნელი და მშობლიური მთავრობა რომ გვყოლოდა...

იმავე ვერნერ ზომბარტის სიტყვები რომ ვისარგებლოთ, ჩვენში აი რა ხდებოდა უფრო:

«სესხის გაცემის, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მევახშეობის ისტორიული ამოცანა ის იყო, რომ მოემზადებინა აწინდებული კაპიტალისტური სისტემა, რომ მისი საშუალებით ფეოდალების სიმდიდრე მოქალაქეთა ხელში გადასულიყო. ვისაც სურდა მევახშეობის ხელობით გამდიდრება, მას ვინმე მსხვილი მემამულე უნდა ეპოვნა და დაეჭირა, რაც შეიძლება უფრო მსხვილი მემამულე».

ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ჩვენებური ვაჭარ-სოვდაგრები სწორეთ ამ გზით უნდა გამდიდრებულიყვნენ, მეტადრე ისინი, ვინც პირველად მოასწრეს მოწვნა და ნაღების მოხდა. გიორგი ერისთავის კომედიების პერსონაჟები სწორეთ ისინი იყვნენ. ვაჭრების შემდეგი მოდგმა კი სულ სხვა პირობებში სოვდაგრობდა. ცოტა იყო დაგროვილი თუ ბევრი, იგი იმ მასტაბით ხდებოდა, რასაც ადგილობრივი პირობები იძლეოდა. იძულებით ხელფეხ შებოჭილი ხალხის ენერგია მაზედ მეტს ვერ მისცემდა, რაც სინამდვილეში იყო...

ამ დაგროვილი ფულის ერთი ნაწილი აი როგორ ყოფილა დაბანდული.

კრებულ «ნარ. ხოზ. ზაკავკ.»-ში მოყვანილია საინტერესო ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, რა ღირდა მთელი ის პროდუქცია, რომელიც საქართველოში გადამუშავებულა 1912 წელს, სხვადასხვა ქარხნებსა, სახელოსნოებში და საწარმოო ადგილებში. ამ ცხრილს აკლდა იმ ღვინის შეფასება, რომელიც დაყენებული ყოფილა საქართველოში და სარდაფებში ინახებოდა გასაყიდათ; მარგანეცის პროდუქციაც ცხრილის გარეშეა მოხსენებული. იმ წლის სპილენძის პროდუქცია უკვე სომხეთზეა მიწერილი, ჩვენ იმ ხანის დასახასიათებლად ისევ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში მოვაქციეთ. როგორც ცნობილია მთელი სპილენძის პროდუქცია უცხოელ კაპიტალით მუშავდებოდა. მარგანეცის პროდუქციის იმ წლის ღირებულობიდან ქართულ კაპიტალს ერთ მესამედზედ ნაკლები მივაკუთვნეთ; ღვინის ღირებულობა კი 80 პროც., მიხედვით ქართველი მოსახლეობისა სოფლად.

დანაშთენი პროდუქცია (ქვის ნახშირის ჩამატებით), კრებულში 10 სხვადასხვა დარგათ არის დანაწილებული; ჩვენ ყველა ეს სამ ჯგუფად დავყავით, მიხედვით იმ მასალისა რომელიც ხელთ გვქონდა.

აქ კვლავ უნდა განვიმეოროთ ის, რაც არა ერთხელ გვითქვამს წინადაც. მოყვანილი ცხრილი და ციფრებიც მხოლოდ იმის დაახლოვებითი სურათს იძლევა, რაც სინამდვილეში უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ამ ციფრებსაც ისეთივე ღირსება-ნაკლოვანება მოსდევს, როგორც სხვებს, ვინაიდან არ მოხდენილა ჯერ-ჯეროობით ჩვენში სასტიკი გადარჩევა და მეცნიერულად შეფასება ყველა იმ მასალების, რომელიც საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას ახასიათებს. მთელი ამ პროდუქციის ღირებულობა დაახლოვებით, 24.608.700 მანეთი იყო. აქედან უცხოელ კაპიტალზედ მოდიოდა 11.781.000 მანეთი (აქ შედის ბორჯომის წყლის ღირებულობაც 1.820.600 მანეთი). ამნაირად ადგილობრივ კაპიტალზედ პროდუქციის ღირებულობა მოდის 12.827.700 მანეთის.

პროცენტებით:

უცხო კაპიტალის კუთვნილება	48 პროც.
შინაური კაპიტალის	52 პროც.

საინტერესო იყო გაგვეგო რამდენად დიდია ამ შინაურ კაპიტალში, წილი ქართველების და სომხების (დანაშთენი ეროვნებანიც უცხოელებს რომ მივათვალოთ).

იმ მასალის მიხედვით, რომელიც ხელთა გვქონდა ერთგვარის დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ მათი მონაწილეობა თითქმის თანაბარია.

სახელდობრ:

ქართველი კაპიტალი წილი	6.777.200 მან.
სომხების ,, ,,	6.050.500 მან.

რადგან სწორ ციფრებზედ ლაპარაკი ჯერ ჯეროობით შეუძლებელია, სიფრთხილისთვის მივიღოთ, რომ ამ ორი ეროვნების კაპიტალის მონაწილეობა თანასწორია.

ამ ცხრილში, სულ პირველად უცხო კაპიტალის ნაწილის სიდიდე იპყრობს ყურადღებას (48 პროც.).

ის მექარხნე-მეფაბრიკეობა, რომელიც ჩვენში არსებობდა, ისეთი მარტივი იყო, რომ შინაური კაპიტალიც უნდა ადვილად მორეოდა მას. მდგომარეობის ახსნას ჩვენ, ალბად, ვიპოვნით იმაში, რომ ჩვენი ადგილობრივი «კაპიტალისტები» არ იყვნენ, მაინცდამაინც, დიდი ინიციატივის ხალხი. ისინი ჩვეული გზით სვლას ამჯობინებდენ; თავიანთ დუქანმაღაზიებიდან ნელ ვაჭრობას და ან სესხათ ფულის გაცემას,—მევახშეობას. ამ ინიციატივის ნაკლებობა იქიდანაც სჩანს, რომ მაგ. სომხის კაპიტალისტებმა ვერ შებედეს მუნიციპალურ კონცესიების ხელში აღება, რაც მათ უცხოელ კაპიტალისტებს დაუთმეს. და ეს მაშინ როდესაც. სწორედ, სომეხ ბურჟუაზულ წრეებში იყო ქალაქების თვითმართველობანი...

მეორე ახსნა შეიძლება ისიც იყოს, რომ ჩვენებური მრეწველობა არ უნდა ყოფილიყო ძალიან მომგებიანი საქმიანობა. ყოველ შემთხვევაში ის სარგებელი, რომელიც ჩვენ სოვდაგრებს მევახშეობის წარმოებითუ გროვდებოდათ, გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მაზედ, რაც მრეწველობაში მონაწილეობით მოუვიდოდათ. მართალია, საქართველოშიც გაჩდა სხვადასხვა სახის ბანკები და ეს დაწესებულებანი საუკეთესო საშუალებაა მევახშეობის მოსასპობათ, მაგრამ ჩვენში მყოფი ბანკები უფრო ქალაქებში მცხოვრებ კლიენტებს უვლიდენ; პროვინციაში მილიონობით სოფლად მცხოვრებთა კრედიტის წყურვილი კვლავ მევახშეობით კმაყოფილდებოდა. ამისათვის თითო ქალაქელ სოვდაგარს თავისი ერთგული აგენტები ყავდა პროვინციაში და ამნაირის ორგანიზაციით ახერხებდენ დიდის, ხშირად აუტანელი პროცენტებით ფულის გასესხებას. ცნობილია ქართლ-კახეთში «კახურის წესით» სარგებლის გადახდა. ეს სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ დებიტორს, მიუხედავად იმისა, რომ დიდს სარგებელს იხდიდა, ფულად და ხშირად ნატურითაც, ბოლოს ვალი, ორ-კეცად გაზდილი, მაინც კისერზედ აწვა. ეს სისტემა დიდი გამოგონება იყო ჩვენებურ მევახშეების!

იყო ასეთი მაგალითებიც, როდესაც სოვდაგარი, ათასი მოხერხებით სახელმწიფო ბანკის შინაურ კლიენტად გამხდარი, იღებდა იქიდან იაფ კრედიტს და «კახურის სისტემით» ასესხებდა ხოლმე იმ წვრილ მწარმოებელთ, რომელთაც არც მისავალი და არც ნდობა ქონდათ რუსეთის სახელმწიფო ბანკისა! დასავლეთ საქართველოში, კიდევ, თავისი სისტემა არსებობდა. გვახსოვს ოთხმოცდაათიან წლებში იგი «მებუკეს სისტემათ» იყო ცნობილი.

ამ ცხრილში, თავის მოულოდნელობით, იქცევს ყურადღებას საკუთრივ სომხურ კაპიტალის მცირე მონაწილეობა. ეჭვს გარეშეა, რომ მათი დაგროვება უფრო დიდი იყო ვინემ სხვების. ცხრილი ნათლად გვიჩვენებს სომხების კაპიტალის ტენდენციას: იგი არ ხმარდება ადგილობრივ მრეწველობას. მთავარი მათი საქმიანობა ამ სფეროში—თამბაქოს ფაბრიკანტობაა (გარეშე ამისა თითქმის არაფერია). და როგორც ვიცით, ეს მრეწველობა საკმაოდ მარტივია, ამასთანავე მოკლებული თავისუფალ კონკურენციას (რუსეთის სააქციზო წესები) და ამიტომ იგი ერთგვარ მონოპოლურ მდგომარეობასაც სარგებლობდა.

აგრეთვე საყურადღებოა ქართველთა კაპიტალის მრეწველობაში და წარმოებაში ადრევე ჩაბმა, რაიც მაჩვენებელია იმის, რომ ქართველ ბურჟუაზიას სხვებზედ არა ნაკლებად მოსდევს ამგვარ საქმიანობის ნიჭი.

ერთი პირველ საწარმოო დაწყებათა შორის (ღვინის დაყენებაზედ რომ არცარა ვსთქვათ რა), ჩვენში ტყეების ფართე მაშტაბით ეკსპლოატაცია არის.

სწორეთ ორი ქართველი იყო ამ საქმის პირველი დამწყები: გიორგი ქართველიშვილი (ვეფხის ტყაოსნის გამომცემელი) და პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვი. დიდი ფული მოანდომეს მათ ამ საქმეებს: გაიყვანეს მოსეები და რკინის გზები, მოუხდათ მთის მდინარეთა ნაპირების გაწმენდა და მათი კალაპოტის ტივებისათვის გასუფთავება, მანქანების დადგმა და სხვა.

ცნობილია დავით სარაჯიშვილის სპირტის ქარხნები, ევროპიულად მოწყობილი და ნაწარმოები. თუ ავიღებთ სალიტოგრაფიო დარგს, პირველად ამ საქმის ცნობილმა სპეციალისტმა კოტე მესხიშვილმა დააყენა იგი ფართეთ, რისთვისაც გერმანიიდან თვითონ ჩამოიტანა დიდი მანქანები და დაზგები და ნიჭიერად უძღვებოდა დიდ წარმოებათ გაზდილ საქმეს.

შეიძლება არც ის იყო უბრალო შემთხვევა, რომ საქართველოში ბაქოს ნავთის იმპორტიც პირველად ორმა ქართველმა დაიწყო. ერთი მათგანი იგივე გიორგი ქართველიშვილი იყო, მეორე კი დროებით სამხედრო სამსახურიდან გამოსული შეძლებული ქართველი მემამულე, რომელმაც შემდეგში თავი გაითქვა როგორც ნიჭიერმა და მამაცმა მხედართ-სარდალმა, რუს-ოსმალოს ომში. ასე გაგვიგონია ეს ამბავი ძველებისაგან: ეს ექსპორტი, აქლემებით ხდებოდა, რადგან იმ დროს არამც თუ რკინის გზა, შოსეს გზებიც კი არ ყოფილა გაყვანილი.

პირველი შუშის ქარხანა, ქ. გორის ახლო იყო აშენებული. ამ ქარხნის დამწყები (1870 წლების მეორე ნახევარში) და პატრონი იყო ქართლის ცნობილი მემამულე ელიზბარ ერისთავი. ქარხანა ამზადებდა—ჭიქებს, ბანკებს, ლამპის შუშას და სხვაგვარ ჭურჭლეულობას, ფინანსურ სიძნელეთა დაძლევა გახდა მიზეზი ქარხნის დახურვისა.

ქართველ მემამულეთა შორის ძველადვე იჩინა თავი, სასოფლო მეურნეობის ევროპიულად დაყენებამ. იმავე სამოცდაათიან წლებში დიდი ინიციატივა და ენერგია გამოიჩინა «სკრის» მამულის მესაკუთრემ თავ. შალიკაშვილმა, მან განათლება სამხედრო საინჟენერო სასწავლებელში მიიღო. სამხედრო კარიერას ადრევე თავი დაანება და დაიწყო სასოფლო მეურნეობის ფართე გეგმით წარმოება. გაიყვანა საჭირო გზები, სარწყავი არხები, დაბლობებზედ გამოსაშრობი არხები, მოახდინა ტყის ტაქსაცია, მოაწყო გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი მემინდვრეობა, მებაღეობა და სხვა. საუბედუროდ სწორედ იმ ხანას მოადგა საქართველოს სასოფლო მეურნეობის კრიზისი, რაზედაც წინადაც გვქონდა ლაპარაკი. როგორც ვსთქვით, ამნაირი კრიზისი ბევრ ევროპულ აგრარულ ქვეყანასაც დაადგა, მაგრამ იქ მთავრობებმა იკისრეს საჭირო ზომების მიღება და რუსეთ-ამერიკის იაფი ხორბლით გამოწვეული გასაჭირი დაძლეული იყო იქაურ მოსახლეობის საკეთილდღეოთ.

ჩვენში ასე არ მოხდა, რადგან კრიზისის გამომწვევიც რუსეთი იყო და რუსეთივე იყო ის მთავრობა, რომელსაც უნდა მიეღო ღონისძიებანი, რომ კრიზისი დაძლეულ ყოფილიყო. რუსის მთავრობას ამისათვის არა სცალოდა, იგი ბრმად მისდევდა კოლონიალურ პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში და სწორედ ამან დაბადა აუტანელი ეკონომიური პირობები. იქ სადაც მთელი სახელმწიფოს დახმარება იყო საჭირო, კერძო პირების ნაწილი ვერას გახდებოდა და ხსენებულ თავ. შალიკაშვილის საუკეთესო წადილიც საკატასტროფოთ დამთავრდა. ასეთივე ბედი ეწია სხვა ნოვატორებსაც... *)

—ლი—ვ.

ჩვენებური რამე-რუმე

რაც ფილპ ხანის **) წინმძღოლობით ველურ კომუნისტებმა ქართველთა გაჩრდილოეთლება ცეცხლითა და მახვილით იწყეს—მას შემდეგ ჩვენი საზოგადოება დემორალიზაციით მოწამლულ ატმოსფერით ცოცხლობს და სუნთქავს. მოგეხსენებათ, რეჟიმის ძლიერი სისატიკე ადვილად ავითარებს ქვემძრომობას, ცბიერობას, სიმდაბლეს და ძირ-ფესვს უმაგრებს მორალურ გადაგვარება-განადგურებას. დესპოტიის ხანაში მრავალნი ადამიანურ ღირსების გრძნობას კარგავენ და მორჩილ ცხოველთ ემსგავსებიან. ამჟამად კომუნისტური რუსეთი განიცდის, უდაოა, ფხსოვარ დროის მონობის აღორძინებას. დღევანდელი მისი ისტორია ბარბაროსობას წარმოადგენს. კაცობრიობას უპირებს რუსეთი მონობის უღლის დადგმას და თანაც ისწრაფვის, ადამიანები შინაურ ცხოველთ დაამსგავსოს. ძალდატანებით ორგანიზაციაზე დაყრდნობილი ტირანიის ლტოლვა არის ყოველ სფეროში მონობის დამკვიდრება და, უეჭველია, დესპოტიზმის ორგანიზაციის წინაშე მონობის სტიმულია შიში. პირველიდან საზოგადოების ჯაბანი ნაწილი შიშმა შეიპყრო, დროთა სრბოლაში თანდათან, სუსტად, თუ მძლავრად განვითარდა და ყოველგან დამკვიდრდა. დამკვიდრდა და ყოველ სფეროში—ცოლ-ქმარს შორისაც—დაამკვიდრა უაღრესი ქვემძრომობა და ზნეობათა უმწეერვალესი გათახსირება. ამრიგათ, შეშინებულნი ყოველივე კეთილისაგნ იჯმნენ, ამ დამონებულ კლასმა ადამიანთა თანასწორობის ყოველგვარი იდეა დაივიწყა. ჩავარდა ცხოველთა მდგომარეობაში, მიეცა ფიქრს: დაიკმაყოფილოს მხოლოდ თავისი ცხოველური მოთხოვნილებანი და, ეჭვს გარეშეა, გახდა პირუტყვი მჩბუნავი. დიახ, კომუნისტებმა რუსეთში გაამეფეს დესპოტია, რამაც ადამიანთა ღირსების გრძნობა ძაღლთა მორჩილებას დაამსგავსა. ასეთივეს დაამკვიდრებას მისი აგენტები ჩვენშიაც დიდი ხანია თავგამოდებით ცდილობენ. ათიოდე წლის განმავლობაში დღემუდამ სხვადასხვა სახით და ფორმით საზოგადოების, ოჯახის, სკოლის, მეცნიერების და ლიტერატურის გარყვნის ცდა, რასაკვირველია, უნაყოფოდ არ დარჩა. და არაფერი გადარჩა დაუხვრეველი; განადგურდა ხალხის კეთილდღეობა და ყველაფრის გაპარტახება ყოველ ყამს ხდება. რომ ნათქვამი, კეთილო მკითხველნო, ლიტონ სიტყვათ არ ჩამომართვათ გთხოვთ, ჩემთან ერთად «ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი» ქვეყანა მიარ-მოიაროთ...

ნება მიბოძეთ ჩემი თავი, თქვენი თანამგზავრი, პირველყოვლისა გაგაცნოთ. მე, დღეს «დასირისტიანებული», ოჯახის პატრონი გიახელით. ცოლი, შვილები, დაქორწინებულ-დაუქორწინებელიც, მყავდა, ორიოდე ქცევა მიწა, თითქმის მთლათ, მანდარინით და ჩაით მოშენებული მქონდა, სამიოდე ძირი ლიმონი, ყოველ თვეში მიყვაოდა, ასიოდე ბამბუკის ხე, ჩემი ხარი—ნიშა-ნიკორა, მყავდა, ჩარდახიანი ურემიც მქონდა და ერთი ჭაკი ცხენიც მომეძევებოდა და ქათამი, ბატი, იხვი და ინდაურიც, ტახი და ნეზვიც მყავდა, ერთი სიტყვით, ამ უბედურერების ხანაში გვარიანათ ვცხოვრობდი. ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრეს ტრაბუნდა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გამოაცხადეს. ჩემი შინაური ცხოველები: ლორი, ჭაკი ცხენი, ხარები და ფრთოსნებიც სანადგომოთ წაიყვანეს, მოშენებული მიწა მეორე დღეს არტელს შესწირეს, სოციალიზმი ააშენეს, და მე კი ღვთის ანაბარათ დამტოვეს. ჩემი უმფროსი ვაჟის რჯულიერი ცოლი—მაგდანე ერთხელ დაკაპარწახდა, კანჭები გაიშიშვლა და «კომსომოლს» ჯერ ხუცის გასაკრეჭად და ხატების დასაწვავად გაყვა, გაყვა და დაუბრუნებლად წაყვა. მოკლედ, ჩემი კერა გაცივდა და ეხლა სოფელთა და ქალაქთა დასათვალიერებლად თქვენთან თავისუფლად მგზავრობა შემიძლია.

მაშ, პირველად ვნახორ გურიაში სოფელი ვანი, სადაც გაშენებული იყო თორმეტიოდე ქცევა საუ-

*) სხვათა შორის, იმ დროს ეს შალიკაშვილი გორის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი იყო და სწორედ მისი თავმჯდომარეობით მოხდა საქართველოში ერობის შემოღების პირველად მოთხოვა. იმ დროს ქ. გორი ბევრს ახალ საზოგადო საქმის დამწყებათ გამოდიოდა. გორის ინტელიგენცია ამ სფეროში დიდ თაოსნობას იჩენდა და მისი ენერგიული ხელმძღვანელი ჩვენი ცნობილი მოღვაწე და მწერალი ანტონ ფურცელაძე იყო. იმ ინტელიგენციის თაობითვე მოხდა პირველად საქართველოში კოოპერატიული საზოგადოების გახსნა. მას სახელად, რატომღაც, «დეპო» ეწოდებოდა.

**) ტიტული ხანი ფ. მახარაძეს უბოძა აბასთუმნელმა ღრმა მოხუცმა მაჰმადიანმა ქართველმე. ამიერიდან იგი ხანად იწოდების.

ცხოვრ ნორჩი ტყე. კომუნისტურ საბჭოთა წევრებს პირადი სარგებლობის გამო, ტყე შეშურდათ, პირს ნერწყვი მოადგათ, არც აციეს, არც აცხელეს და დაადგინეს «კანონიერად» გაყიდვა. გაყიდეს, მყიდველს გვერდით ამოუდგენ, ტყე გაჩეხეს და გაანადგურეს. რასაკვირველია, ძალდატანებითი და ცალმხრივ ჩვენებურ პრესას თუ დაუჯერებთ და დამკვრელ ქალთა და ვაჟთე თუ კი ენდობით, განადგურების ნაცვლად, ქვეყანას წარმოებით ააყვავებენ. რომ ეს ლიტონი სიტყვები და მტკნარი სიცრუეა, საკმაოა გავიაროთ ჩოხატაურში (გურია), სადაც ვითომ ღორთა და ფრთოსანთ აშენებენ, მარა ვერც ერთ და ვერც მეორეს ნახავთ. თუ კოლექტივიზაცია გურიაში კოჭლობს, სამაგიეროთ ცაგერში ხილის დამზადების საქმე ჩინებულად მიდის: ყუთებისათვის ლურსმანი და ასაწონად გირები არ მოეპოებათ, ვაშლის საწყობისათვის თხრილი გაუკეთებიათ და შიგ წყალი მიუშვიათ, მუშებს ცუდი მჭადით კვებავენ. მაგრამ ჯერ არ გაგონილი და ნახული შეჯიბრება ღვინის სმაში წარმოებს. თუ ცაგერის კოლექტიური მეურნეობა ასეთ ბეჯით შოომას და ჯაფას ეწევა, სამაგიეროთ აფხაზეთში კოლექტივიზმს ხალხი სრულიად უყურდღებოთ ტოვებს. მარა აბაშელებმა თავი ისახელეს და მხოლოდ მოსავლის აკრეფაში ერთგულად მიიღეს მონაწილეობა, ქალთა კოლექტიური მეურნეობაც დაარსეს და აბაშელი დაკაპარწახებული მანდილოსნები ტრაქტორის მესაჭეები გახდენ. შორიდან მაყურებელთათვის ჩვენი ქვეყანა, ერთი სიტყვით, «ოქროს ძირიან» მკვეხარა ქოთანს გავს, ყოველი მხრით ყველაფერი კარგათ არის და გამოიყურება, მეგრამ ოდესღაც მშვენიერი აბასთუმანი დანგრეული სახლებით დღეს გულსაკლავად იცქირება; დაკეტილი ტაძრის მხატვრობის ნიმუშები ფუჭდება და ნაფლეტებათ მოცივა ძირს, სავაჭრო ფარდულები ბინების სივიწროვის გამო საცხოვრებლად გაუქირავებიათ და პატარა ოთახში 3-4 სული მოთავსებულა. ბინის სივიწროვე მზგავსათ აბასთუმანისა ქუთაისსაც ეწვია და გ—მე ტ—ის მეუღლეს ა. შ—ის ასულს გულკეთილმა ვ. ფ—ემ ერთი ოთახი საცხოვრებლად შესთავაზა. ურთერთშორის შეთანხმებით ცოლქმარი ტ—ძე შვილებით ფ—სას გადასახლდა და გაჭივრებაც შემსუბუქდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ტ—სთვის აშკარად გამოირკვა, რომ მისი ცოლი ფ—ს გადაუბირებია. ტ—ემ ბინის დატოვება გადაწყვიტა, მარა ცოლი არ გაყვა. ქმარმა ცოლი ფ—ეს მიუტოვა, მცირეწლოვანი ბავშები თან წაიყვანა და გაეცალა. ტ—ის შინ არ ყოფნის დროს დედამ ბავშები ფ—თან გადაიყვანა, ორთავენი დაბანა. ერთი დაიწვინა თავისთან, ხოლო მეორე 6—7 წლის გოგონა ჩაუწვინა ვ. ფ—ს, ვ—მა ბავშს მაგარი სასმელი დაალევინა. გონება დაკარგულ ბავშს ჩაეძინა. დრო იშოვა ფ—მ და ბავში გააუპატიურა. ეს ამბავი ყველასათვის საიდუმლოდ დარჩა. მხოლოდ იცოდა ბავშის დედამ და იგი აფრთხილებდა ბავშს, რომ არავისთვის გაემხილა, თორემ «ყურს მოჭრიდენ». ცოტა ხნის შემდეგ ეს ამბავი მამამ ბავშისაგან გაიგო მაინც. იგი ექიმმა შეამოწმა და გაუპატიურებასთან ვენერული ავადმყოფობა აღმოაჩნდა...

ქუთაისის სასამართლომ ფ—ს 5 წლის და ბავშის დედას 2 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აი ნიმუში ლენინის გზით განვითარების.

ახლა დავიმუხლოთ და შემდეგკი ვიმოგზაურთ..

ურუკელი.

რას სწერენ ბოლშევიკებზე

ევროპის გაერთიანების (პან-ევროპის) ცნობილი პროპაგანდისტი კუდენგოვე—კალეგი სწერს თავის ჟურნალში—«პან ევროპა ცაიტშრიფტ»: შეუწყნარებელ შეცთომას სჩადიან ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც მოითხოვენ რუსეთის მიღებას ევროპის მომავალ კავშირში, ვინაიდგან ეს გამოიწვევდა ევროპის თავის თავის მოკვლას. ბევრს რუსეთი მიაჩნია ევროპიულ სახელმწიფოდ, რომელსაც მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური წყობილება აქვს. ეს მართალი არაა: ბოლშევიზმის დამყარების შემდეგ რუსეთი მთელი თავის არსებით უპირდაპირდება ევროპას. საბჭოების მიზანია—ომით, რევოლუციით თუ სხვა გზით დამხობა ევროპიულ ცივილიზაციის. ამ მიმართულებით სწარმოებს ახალგაზდობის აღზრდა. მას უნერგავენ დასავლეთის წყობილებას ღრმა სიძულვილს. ოპტიმისტები მოელიან, რომ ბოლშევიზმი მალე დაემხობა. მაგრამ ევროპამ ანგარიში უნდა გაუწიოს საბჭოების ბატონობის გახანგრძლივებას. თუ კომუნისტების ეკონომიური პროგრამა თუნდაც ნაწილობრივად განხორციელდა, მაშინ რუსეთი შეიქნება ყველაზე უძლიერესი სახელმწიფო. აგრე წოდებული საბჭოთა დემპინგი მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ გაფრთხილებაა».

* * *

გაზ. «მატენ»-ის თანამშრომელი ესაუბრა საფრანგეთის ცნობილს ექსპერტს ჟ. პარმანტიეს, რომელიც ეხლახან დაბრუნდა რუსეთიდან. პარმანტიეს აზრით, ბოლშევიკებმა შეასრულეს 70-80 პროცენტი ხუთწლიანი გეგმისა და ეს გარემოება დიდს საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ვაჭრობისთვის. მოსკოვს ეძლევა საშუალება გაავსოს უცხოეთის ბაზარი ყოველგვარი ნაწარმოებით, და ამით ყოვლის უწინარეს დაზარალდებიან გერმანია და ინგლისი—სახელმწიფოები, რომლებიც უმთავრესად ექსპორტით ცხოვრობენ. საბჭოთა წყობილების ევოლუციის იმედი არ უნდა გვქონდეს. წითელი არმია კარგადაა უზრუნველყოფილი და სრულებით არაა მოსურნე სხვა წყობილების დამყარებისა. რაც შეეხება ხალხს, იგი ძალზე დაშინებულია. საბჭოთა დემპინგის წინააღმდეგ პარმანტიე ასახელებს ორს საშუალებას: ერთია ის, რომ ყველა სახელმწიფოში უნდა დაარსდეს საგანგებო ორგანიზაცია, რომელიც შეისყიდის საბჭოთა საქონელს და მერე მიყიდის მომხმარებელს ნორმალურ ფასებში; მეორეა ის, რომ უნდა შესდგეს ევროპის საერთო ფრონტი საბჭოების ეკონომიური და სოციალური შემოტევის ჩინაამდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ქენევაში მიიღეს განათლების კომისარის ბუბნოვის საიდუმლო ცირკულიარის პირი, რომლის ძალით საბჭოთა ყველა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შემოიღონ სამხედრო სწავლება. აღმოჩნდა მეორე ცირკულიარი სამხედრო კომისრის გამოცემული, რომელიც ეხება მოსწავლე ახალგაზდობის მილიტარიზაციასვე. ცირკულიარი მოითხოვს, რომ ახალგაზდობას ასწავლონ შეტევითი ხასიათის ოპერაციები (გარდა სამხრეთ კავკასიის, პეტერბურგის, პსკოვის და ნოვგოროდის რაიონებისა, სადაც მოგერიებითი ტაქტიკაა ნაგულისხმევი). ცირკულიარში ნათქვამია: საბჭოების მთავარი მტრებია—პოლონეთი და რუმინეთი. როგორც კი ატყდება ომი, უნდა შევუტიოთ ამ სახელმწიფოებს. დაუყონებლივ უნდა დავიკავოთ ვილნო, ბელოსტოკი, ბრესტლიტოვსკი და მივაწვეთ ვარშავას და გავაბათ კავშირი გერმანიასთან. დიდი მნიშვნელობა ექნება ბესარაბიის და მოლდავიის დაკავებას. გერმანია დაიცავს ნეიტრალიტეტს და იქნება ბარიერი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემოტევის წინააღმდეგ. ფინლანდიის, ესტონიის და ლატვიის პოზიცია მომავალ ომში გაურკვეველია.

— მთავრობის დადგენილებით, დაარსდა სპეციალური საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს სრულიად საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. ამ განზრახულ კონსტიტუციით ეროვნულ რესპუბლიკათა ავტონომიები თითქმის გაუქმდებიან და შეიქმნება ერთი ცენტრალისტური რესპუბლიკა, რაც, მთავრობის აზრით, უფრო უზრუნველყოფს პროლეტარიატის ტიქტატურას. კომისიის თავმჯდომარეა კაგანოვიჩი.

— პეტროგრადში დახვრიტეს ხუტი კოოპერატორი. მათ აბრალებდენ უცხო კაპიტალისტებთან კავშირს, საბოტაჟს და კოოპერაციის დეზორგანიზაციას.

— ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატს დაგზავნოს 10.000 საგანგებო კონტროლიორი სასურსათო ორგანოების სარევიზიოთ. რევიზორები იქნებიან კომისარიატის უშვალო წარმომადგენლები; მათ ექნებათ დიქტატორული უფლებები და ცენტრის დაუკითხავათ გადასწყვეტენ მოხელეთა ბედს: დაითხოვენ, დაატუსაღებენ და სხვ. ეს საგანგებო ზომა გამოწვეულია სასურსათო კრიზისის სიმწვავით.

— საგარეო საქმეთა კომისარიატის დადგენილებით მიმდინარე წლის პირველივე სემესტრში უნდა მოხდეს სახღვარგარეთელ საბჭოთა დაწესებულებების გაწმენდა. ყველა არაკომუნისტი იქნება დათხოვნილი და მათ ადგილს დაიკავებენ წმიდა კომუნისტები.

— ტყავეულობის ექსპორტი სასტიკათ აკრძალულია. ეს ზომა გამოწვეულია ტყავეულობის დიდი კრიზისით. კოლექტივიზაციის გამო გლეხებმა ოთხფეხი სულ გასწყვიტეს, აქედანაა ხსენებული კრიზისიც.

— სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირის ოქრო გადატანილი იქნება გერმანიის სახელმწიფო ბანკში. თითქოს 21.600.000 მარკის ღირებულების ოქრო უკვე გადატანილი იყოს.

— სამხედრო კომისარიატი დიდ სამზადისშია. დიდი თანხა გადაეცა ავიოქიმიის ასოციაციას სულისშემხუთავ გაზების დასამზადებლათ. დიდძალი სამხედრო ჰაეროპლანი იქნა შეძენილი ევროპაში და შეერთებულ შტატებში. ამზადებენ ახალი ტიპის ჰაეროპლანს, რომელსაც შეეძლება თოვლზე დაშვება.

— თავის მოკვლამ უკანასკნელ ხანებში მოსკოვში და პეტროგრადში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. პეტროგრადში რამოდენიმე დღეში 70 მოიკლა თავი. მთელი ოჯახები ერთიანათ იკლავენ თავს. განსაკუთრებით მუშათა შორისაა გავრცელებული თვითმკვლელობა.

— სალოვკიდან გამოქცეულ ერთ მღვდელის სიტყვებით, ამ ჟამათ სალოვკაში იმყოფება 425 მართმადიდებელი მღვდელი და 48 კათოლიკე. მღვდლების მდგომარეობა საშინელია. მათ წამებას საზღვარი არ აქვს. გამკითხავი არავინ არი.

— განათლების კომისარიატმა ინსტრუქცია დაუგზავნა მასწავლებლებს, სადაც მათ ევალებათ აწარმოვონ კომუნისტური პროპაგანდა მოწაფეთა შორის. სკოლის დირექტორს უფლება ეძლევა დაითხოვოს ის მასწავლებელი, რომელიც ცირკულიარს არ დაემორჩილება.

— ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელ სეანსზე შესვლისას დეპუტატებს ჩხრეკდენ ჩეკისტები, იარაღიანათ არავის უშვებდენ.

— მოსკოვში დიდი ყინვებია. 15.000 ვაგონი, დატვირთული ნახშირით და შეშით გზებშია დაბანდებული და ვერ აღწევს დანიშნულებას. გაიგზავნა ჩეკისტები ტრანსპორტის დეზორგანიზაციის მიზეზების გამოსარკვევათ. დაატუსაღეს 200 კაცი მოვაჭრენი ნახშირით და შეშით.

— სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა—შეამოკლონ 1931 წ. ხარჯთაღრიცხვა 1 ნახევ. მილიარდ მანეთით. ხარჯების შემცირება არ შეეხება ჯარს, ფლოტს და გეპეუს რაზმს.

— ქ-ნ კრუპსკაიამ (ლენინის ქვრივი) მოათავსა «ახალ სკოლა»-ში წერილი. აქ ის აქცევს მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ «კულაკების» შვილები კოლექტივიზაციის გამო დარჩენ ქუჩაში, არავინ მათ დახმარების ხელს არ უწევს, რადგან ყველას შიში აქვს ამ დახმარებით ხელისუფლების რისხვა დაიმსახუროს. კრუპსკაია აღნიშნავს, რომ ამ ბავშვთა შორის არიან ისეთები, რომლებიც კულაკების წრიდან არ არიან, როგორც უპატრონონი კულაკებმა აიყვანეს, იშვილეს და დღეს ეს ბავშვებიც ქუჩაში არიან. კრუპსკაიას აზრით, ამ ბავშვებს მაინც პატრონობა უნდა.

— კოლექტივიზაციამ ძლიერ დააფრთხო გლეხები. ვისაც შეუძლია გარბის სოფლიდან ქალაქისაკენ. მაგ. პეტროგრადში რევოლუციის წინ ცხოვრობდა

2.000.000 სული, რევოლუციის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი 1.200.000 დავიდა, ახლა კი 2.232.000 (უკანასკნელი ოფიციალური ცნობა). ამ გარემოებამ საბინაო კრიზისი ძლიერ გაამწვავა.

— ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხილა ლიტვინოვი, საგარეო საქმეთა კომისარი, რომ ის ცხოვრობს ფართოდ, ბურჟუაზიულათ და შვილებს ზრდის უცხოეთში.

მოხსენება და ანგარიში

ტუშერკულოზით ავათ. დამხმარე კომიტეტისა.

კომიტეტის პირველი წლიური ანგარიში შეიცავდა სრულ 12 თვეს: 1929 წლის მარტიდან 1930 წ. 1 მარტამდე, ხოლო დღევანდელ კრებას მოხსენდება ანგარიში წარსული 1930 წლის 1 მარტიდან მიმდინარე წლის 1 იანვრამდე. შემდეგში კი წლიური ანგარიში შედგენილი იქნება იანვრიდან იანვრამდე.

შემოსავალ-გასავლის ანგარიშები და გასამართლებელი საბუთები განხილული და შემოწმებულია ბ. კ. კანდელაკის და დ. სხირტლაძის მიერ.

როგორც წარსულში ამ საანგარიშო ხანაშიც კომიტეტის შემოსავალს შეადგენდა შემდეგი წყაროები: 1) საქართველოს მთავრობის სუბსიდია, 2) სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველთა შემოწირულობა, 3) საღამოების გამართვა, 4) საწევრო გადასახადი და 5) კერძო პირთა დახმარება.

შემოსავალი ამ გვარად ნაწილდებოდა:

1. მთავრობისაგან	1.500 ფრ.
2. პარიზის ქართველთა ასოციაცია ბ. სხირტლაძის თავმჯდომარეობით	1.600 ფრ.
3. ოდენკურის ქართველთაგან ბ. ბარამიძის საშუალებით	1.700 ფრ.
4. პრაღიდან—ბ. ლომთათიძისაგან	1.331.55
5. თავრიზიდან—ექ. ჯღარკავასაგან	1.000 ფრ.
6. პარიზში გამართული 4 საღამო	3.687.35
7. საწევრო გადასახადი (წიგნაკებით)	1.950 ფრ.
8. კერძო პირთაგან	6.655.50
9. დარჩენილი მარშანდელი ანგარიშის ჩაბარების ჩემდეგ	788.20
სულ	18.712.60
ამ შემოსავლიდან დაიხარჯა	18.261.40

კომიტეტი, რასაკვირველია, ეხმარებოდა ტუბერკულოზით ავათმყოფთ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კომიტეტი იძულებული იყო სხვაგვარ გაჭირვებულთათვისაც აღმოეჩინა შემწეობა.

საანგარიშო პერიოდში აღმოუჩინა დახმარება 25 ავათმყოფს.

1. ყოველ თვიური დახმარება მიიღეს—5-მა. მათგან სანატორიუმში იმყოფება 1, დანარჩენებმა მიიღეს დროგამოშვებით დახმარება.

სამწუხაროთ გარდაიცვალა 6 ავათმყოფი. 2 ავათმყოფნი იმდენად განიკურნენ, რომ კომიტეტის დახმარებას აღარ საჭიროებენ.

ცხადია, რომ კომიტეტი თავის შრომას არა სთვლის საკმარისად, რადგან იგი კარგად გრძნობს რომ ხელმოკლეობის გამო მხოლოდ მინიმალურ შემსუბუქებას აძლევს თავის ავათმყოფებს.

მთელი შემოსავალი ხმარდება მხოლოდ ავათმყოფებს, არავითარი სხვა ხარჯი არ არის ნაანგარიშევი.

კომიტეტი თავის მოვალეობათ სთვლის, მადლობა გადაუხადოს ბ.ბ. ბერიძეს, ა ჯაყელს, ა. ხოშტარიას, დ. სხირტლაძეს, კ. კანდელაკს, ბალანჩივაძეს, ელიგულაშვილს, ფერაძეს, ქ-ნ ჰელბს, ექ. ჯღარკავას, მ. ბარამიძეს, ე. ლომთათიძეს, კ. იმნაძეს, აბდუშელს, იმნაიშვილს, კვიტაიშვილს და სხვებს.

კომიტეტის ბიუროს თავმჯდომ.: ელ. აფხაზისა.
მოლარე: ელ. დეკანოზისა.

† გიორგი ნაცვლიშვილი

ამ თვის ცხრას მონაკოს საავადმყოფოში გარდაიცვალა ახალგაზდა სტუდენტი, დედის ერთა, გიორგი ნაცვლიშვილი. განსვენებული ამ რამდენიმე წლის წინად ჩამოვიდა საფრანგეთში, საქართველოდან გამოქცეული. სახსარს. მოკლებული ქარხნებში მუშაობდა, მაგრამ ფილტვების ავადმყოფობით დასუსტებულმა ვერ გაუძლო ფიზიკურს მუშაობას და ნაცნობების დახმარებით მოახერხა სამხრეთში გადასახლება. სამწუხაროთ იქაურმა ჰავამაც ვერ უშველა და თანდათან დაუძლურდა. იანვარში წელს მთლად ლოგინში ჩავარდა და ქ-ნ ბარბალე ყიფიანის იშვიათის მზრუნველობის წყალობით მოთავსებულ იქნა მონაკოს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. დაასაფლავეს თერთმეტს ამ თვეს. მისი კუბო გვირგვინებით და ყვავილებით შეამკეს თანამემამულეებმა. ვლასა მგელაძემ წარმოსთქვა სიტყვა.

ს ა რ ბ ი ნ ი დ ა ნ

ხარბინის ქართველთა საზოგადოებამ იანვრის 25 გადაიხადა პანაშვიდი ნ. რამიშვილის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი, როგორც ქართველობა ისე სხვა ერთა წარმომადგენელნი. ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული იყო სურათი და წერილები განსვენებულის შესახებ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი წლით 20 ფრანკი.
ნახევარი წლით 10 ფრანკი.
ერთი ნომერი 2 ფრანკი.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.